საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 23 ივლისი, 2014 წელი.

№143 (7524)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

მინისტრთა კაბინეტის წევრობის ახალი კანდიდატები

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მინისტრთა კაბინეტის წევრობის კანდიდატები დაასახელა. მინისტრების პოსტებზე შერჩეული კანდიდატები პრემიერმა მთავრობის ადმინისტრაციაში წარადგინა.

ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნება უწყების ხელმძღვანელის მოქმედი პირველი მოადგილე **ოთარ დანელია**, სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტზე ქვემო ქართლის გუბერნატორი **გიორგი მღებრიშვილი**, ინფრასტრუქტურის მინისტრად საგზაო დეპარტამენტის უფროსი **დავით შავლიაშვილი**, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად კი უკვე ყოფილი მინისტრის მოადგილე **გელა დუმბაძეა** წარდგენილი. კულტურის მინისტრობის კანდიდატს კი პრემიერი მაქსიმუმ დღეს, დილისთვის დაასახელებს.

— ვიცი რომ კულტურის მინისტრთან დაკავშირებით საზოგადოებაში დიდი ინტერესი არსებობს. ეს გახლავთ ერთ-ერთი საპასუხისმგებლო სამინისტრო. მინისტრს ყურადღებით ვარჩევთ. გვაქვს რამდენიმე კანდიდატურა და დღეს საღამოს თუ არა მას ხვალ დილით დავასახელებთ, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მას **სოზარ სუბარი** უხელმძღვანელებს, რომელიც სასჯელაღსრულების სამინისტროდან სწორედ აღნიშნულ უწყებაში გადაინაცვლებს. ასევე მთავრობაში რჩება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებული **ელგუჯა ხოკრიშვილი**, რომელიც ამ უწყებიდან მუშაობას გარემოს დაცვის სამინისტროში განაგრძობს.

უკვე აღარ არის საჭირო რევერანსები რუსეთის მიმართ ⑤

„ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ავანსად გაცემული ნდობის მანდატი ③ უსაზღვრო არაა“

როგორ ⑧ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი

მაინც, რატომ არ მცირდება ტარიფი? ④

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ყველა მინისტრი მოქმედია!

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, ვიდრე ყველა მინისტრი არ დაინიშნება, მთავრობის შემადგენლობა ნდობის მისაღებად პარლამენტში არ შევა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ხმალაძემ აღნიშნა, პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის მთელი შემადგენლობა წარედგინება, თუმცა, პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, მათ შორის ახლად დანიშნულები, არიან არა მოვალეობის შემსრულებლები, არამედ მოქმედი მინისტრები. ხმალაძის განმარტებით, როცა საქმე მთავრობის 1/3-ით განახლებას ეხება, ასეთ შემთხვევაზე კონსტიტუციის ის პუნქტები არ ვრცელდება, რაც ახლად არჩეული პარლამენტის მიერ ახალი მთავრობის ფორმირებისას მოქმედებს.

— საუბარია მთავრობის შემადგენლობის განახლებაზე, როცა მისი რაღაც ნაწილი შეიცვალა. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის განახლებულ შემადგენლობას და არა მთავრობის ახალ შემადგენლობას. ამის შემდეგ პარლამენტში პროცესი 80-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად წარიმართება, რაც ნდობის გამოცხადებას ეხება. პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის მთელი შემადგენლობა წარედგინება, ოღონდ ამ მთავრობაში პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, მათ შორის ახლად დანიშნულები, არიან არა მოვალეობის შემსრულებლები, არამედ არიან მოქმედი, თანამდებობაზე მყოფი პრემიერ-მინისტრი და მინისტრები. თუ მათ პარლამენტი გამოუცხადებს ნდობას, არანაირი აქტი მათი თანამდებობაზე დანიშვის შესახებ არ გამოიცემა. თუ პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადა, მაშინ სულ სხვა პროცესი წავა — მთავრობის თავიდან ჩამოყალიბების პროცესი და ისინი მოვალეობის შემსრულებლებად გადაიქცევიან. ამ შემთხვევაში კი, როცა მთავრობა 1/3-ით იცვლება, პარლამენტმა კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს, რომ ეს მთავრობა სარგებლობს მისი ნდობით. ის ადასტურებს, ან არ ადასტურებს მთავრობისადმი ნდობას და მეტი არაფერი, — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

პრემიათა ცვლა ბათუმში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ ბერიძისა და ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ერმაკოვის მიერ მიღებულ პრემიებს აქვეყნებს.

არასამთავრობო ორგანიზაციამ ანგარიში ხუთი თვის, 2014 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით სამთავრობო უწყებებიდან მიღებულ მონაცემების მიხედვით წარმოადგინა. კვლევის მიხედვით ხუთ თვეში არჩილ ხაბაძემ 8 650 ლარი პრემიის სახით აიღო, ავთანდილ ბერიძემ ხუთ თვეში — 15 000 ლარი, ხოლო გიორგი ერმაკოვმა სამ თვეში — 5 535 ლარი.

— „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ინფორმაციით, აღნიშნულ მონაკვეთში 1 მილიონ ლარზე მეტი პრემიის სახით ბათუმის მერიის 471 თანამშრომელმა მიიღო.

ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის გარდა პრემიები აღნიშნული უწყებების თანამშრომლებმაც მიიღეს: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, პრემია ხუთჯერ, 2014 წლის ინავრიდან მაისის ჩათვლით ყოველ თვეს იქნა გაცემული, 98 თანამშრომელზე გაცემულმა პრემიის მოცულობამ ჯამში 333 158 ლარი შეადგინა, სამინისტროებსა და ცალკეულ უწყებებში კი ოთხჯერ, იანვრიდან აპრილის ჩათვლით იქნა გაცემული. ყველაზე დიდი ოდენობით პრემია აჭარის ა/რ მთავრობაში გაიცა - 124 თანამშრომელზე 358 044 ლარი. ამავე პერიოდში განათლების, სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის მინისტრებმა თანაბარი ოდენობის პრემია 8160/8160 ლარი მიიღეს. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტმა დავით ბალაძემ კი პრემიის სახით 7140 ლარი მიიღო. არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებით, პრემიების გაცემის მანკიერი პრაქტიკა გრძელდება, რაც კორუფციის საფრთხესა და ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებულ კითხვებს იწვევს.

ყოფით ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირება რელიგიურ და ეთნიკურ დაპირისპირებად არ უნდა გადავაქციოთ!

საქართველოს ეკლესია სომხურ ეკლესიასთან მომხდარ ინციდენტს გმობს

საქართველოს ეკლესია სომხური ეკლესიის მიმდებარედ მომხდარ ინციდენტს გმობს. აღნიშნულთან დაკავშირებით საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს , რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

ა.წ. 22 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში შედგა შეხვედრა საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარეს, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმესა და სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსს საქართველოში, ვაზგენ მირზახანიანს შორის.

შეხვედრა ეხებოდა თბილისში სომხური ეკლესიის მიმდებარედ 20 ივლისს მომხდარ ფაქტს.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ეს დაპირისპირება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოიშვა და არ ატარებს რელიგიურ და ეთნიკურ ხასიათს, რასაც თითქმის ყველა არასამთავრობო და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იზიარებენ. თუმცა, არიან ერთეული გამონაკლისები, რომლებიც არასწორ და უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებენ, რაც სამწუხაროა.

საქართველოს ეკლესია გმობს აღნიშნულ ინციდენტს და დაპირისპირებაში მონაწილეთ სიმშვიდისაკენ მოუწოდებს. ამასთან იგი, როგორც ყოველთვის, შეეცდება, ხელი შეუწყოს პრობლემების მოგვარებას და ქვეყანაში არსებული რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელთა მშვიდობიან თანაცხოვრებას, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ოშკის რესტავრაცია აზიზის მეჩეთისა და ახალციხის მედრესეს საპირწონედ

თურქულმა მხარემ ოშკის ტაძრის სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო პროექტები მოამზადა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ხელოვნებათმცოდნე ირინე გივიაშვილმა განუცხადა, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროდან იმ ჯგუფის წევრი იყო, რომელიც იშხნის ტაძრის რეაბილიტაციაზე მეთვალყურეობას ახორციელებდა.

ირინე გივიაშვილი ასევე, თურქეთის თხოვნით, კონსულტირებას უწევდა ოშკის პროექტირების სამუშაოებს.

ხელოვნებათმცოდნის თქმით, ოშკის სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო პროექტების განხილვა უკვე მიმდინარეობს და საჩქაროა, რომ ამ განხილვებში ქართული მხარე მონაწილეობდეს.

„ახლა დროა, მოვითხოვოთ ამ პროექტის განხილვა ქართველ ექსპერტთა მონაწილეობით. ამის შემდეგ დაიწყება ოშკის ტაძრის რეაბილიტაცია, თუმცა, კონკრეტული დრო ჯერ უცნობია. რეაბილიტაციის დაწყება დამოკიდებული იქნება ორ ქვეყანას შორის საერთო კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზეც. თუ ჩვენ არ ვიღებთ ამაში მონაწილეობას, მაშინ თურქული მხარე თვითონ გადაწყვეტს, როდის დაიწყოს რესტავრაცია და ალბათ, ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით შეზღუდულად გვექნება. ჩვენი ჩართულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის გაფორმდება თუ არა“, — დასძინა ირინე გივიაშვილმა.

მან საქართველოსა და თურქეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ეს პროცესი ახლა გაყინულია.

ხელოვნებათმცოდნის თქმით, საერთო კულტურის ძეგლების რესტავრაცია-აღდგენის შესახებ საქართველოსა და თურქეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება განსაზღვრავს პასუხისმგებლობას აიღებს ქართული და თურქული მხარეები საკუთარი თუ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საერთო მემკვიდრეობის დაცვაზე.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ ეს ქართული ტაძრებია და ეს თურქულმა მხარემ, ასევე საერთაშორისო აკადემიურ წრეებშიც კარგად იციან, მაგრამ როდესაც ეს პროტოკოლით იქნება გაფორმებული, საუბარი აღარ იქნება ამ ეკლესია-მონასტრების წარმომავლობის შესახებ. მოგეხსენებათ, ბოლო დროს არაერთხელ გამაღიზიანებლად აღინიშნა, რომ ეს არ არის ქართული კულტურის ძეგლები, არამედ სომხებს თავისი წილი აქვთ მათ მშენებლობაში. ეს ითქვა ოშკზე, იშხანზე, ბანაზე და ბევრს სხვა ტაძარზე, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზეა. სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულების გაფორმებით მათ სხვა სტატუსი ექნებათ და ამით ჩვენ ამ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობას ვიღებთ. ამით ორი ქვეყანა ამ საერთო მემკვიდრეობას აღიარებს.“ დასძინა გივიაშვილმა.

მისივე თქმით, თურქული მხარე ხელშეკრულების გაფორმების პირობად ახალციხის მედრესზე უხეში ჩარევის გამოსწორების მოთხოვნას აყენებს, ასევე აზიზის მეჩეთის მშენებლობას.

◎ ფერმერების თავსატეხი

საქონლის საკვების დეფიციტია

საქონელი შეიძლება საკვების გარეშე დარჩეს. უამინდობის გამო პრობლემამ უკვე იჩინა თავი და ზამთარი რაც უფრო მოახლოვდება, კიდევ უფრო გამწვავდება. ცალკე საძოვრებისა და სათიბების პრობლემა, ცალკე მოუსავლიანობა, ფერმერებს რთულ ვითარებაში ამყოფებს.

როგორც საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი აცხადებს, კახეთში გვალვის გამო მოსავალი გაფუჭდა, ხოლო საძოვრებზე ბალახი გახმა. მისივე ინფორმაციით, კახეთში ყველაზე რთული ვითარება დედოფლისწყაროს, საგარეჯოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებშია.

„ძალიან ცუდი მდგომარეობაა, მოსავალი ხალხმა, ფაქტობრივად, ვერ აიღო. ჰექტარზე 300-400 კილო მოსავალი აიღეს (ყველაზე რეკორდული მოსავალი რაც 1 ჰექტარზე ვინმემ აიღო ეს — 1,5 ტონაა). არადა, წელს ნაკვეთები ყველამ კარგად დაამუშავა და შესაბამისი სასუქებიც შეიტანა. თუმცა, ამინდმა და ბუნებამ ასე გადაწყვიტა და მოსავალი აღარ არის. საკვები ბაზა საშინელ მდგომარეობაშია. საძოვრებზე საერთოდ ბალახი არ არის და რა ეშველება ჩვენს ხალხს არ ვიცი“, — აცხადებს გონაშვილი.

მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი სამომავლოდ ხორცისა და რძის პოდუქტების გაძვირებასაც არ გამორიცხავს, რადგანაც მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვის გამოკვება ფერმერებს საკმაოდ ძვირი დაუჯდება. ზამთრის პირზე ფერმერები მხოლოდ იმპორტირებული მარცვლეულის იმედად რჩებიან.

„ზამთარში საკვები ისედაც ძვირდებოდა. შარშან ქერის ფასმა ერთ კილოზე 0,60-0,70 ლარი შეადგინა მაშინ, როდესაც მოსავლის აღების პერიოდში ქერის ღირებულება 0,35-0,40 ლარი იყო. წელს კი მოსავლის აღების პერიოდში მისი ღირებულება უკვე 0,50 ლარია და ზამთარში მისი ფასი, შესაძლოა, 1 ლარამდეც კი ავიდეს. ეს ყველაფერი კი ფერმერისთვისაც საკმაოდ რთულია და მას გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს.

გლეხებს, ზამთრისთვის, ზოგადად საკვების მომარაგება უჭირთ და ამ ზამთარში პირუტყვს როგორ შეინახავენ ,არ ვიცი. ზოგი იმაზეც ფიქრობს, რომ თუ როგორ მოიშოროს პირუტყვი, რადგანაც ზამთარში მის შენახვას ვერ მოახერხებენ“, — აცხადებს სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება მთლიანად ქვეყნის პრიორიტეტია, მათ შორის, მეცხოველეობაც. ამ ეტაპზე დარგი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და იგეგმება საჯიშე მეურნეობების გაძლიერება, ხელოვნური განაყოფიერების სადგურების ქსელის გაფართოება, საკვები კულტურების წარმოება და ხარისხის თვალსაზრისით, იმპორტირებული პროდუქტის მკაცრი კონტროლი. აღსანიშნავია, რომ მესაქონლეობის დარგის გადასარჩენად პირველი პრობლემა საძოვრების დეფიციტია.

„საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და საძოვრების დეფიციტი ისედაც არსებობდა. ამიტომ, რაც გვაქვს, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენება უნდა მოხდეს. არ შეიძლება გადახნა ისეთი საძოვარი, სადაც ერთ კვადრატულ მეტრზე ასეულობით სახეობის ბალახი ამოდის“, — განაცხადეს სამინისტროში.

გონაშვილს კი იმედი აქვს, რომ სახელმწიფო რაიმე სახით სექტორს დახმარებას გაუწევს, რათა სამომავლოდ მაინც ადამიანებმა მიწის დამუშავება და მარცვლეულის დათესვა შეძლონ, მით უმეტეს, რომ ფერმერთა ნაწილმა ბანკებს საკუთარი პრობლემების შესახებ უკვე აცნობა.

„ქერი და ხორბალი აუცილებლად შემოსატანი გვექნება, რადგან ადგილობრივი წარმოება, ფაქტობრივად, არ არის. ეგ კი არა, სამომავლოდ სათესლე მასალაც აღარ არსებობს. ამ მიმართულებით მაინც უნდა იფიქროს სახელმწიფომ, რომ მოსახლეობა სათესლე მასალით მაინც მოამარაგოს, თორემ გამორიცხულია, რომ მომავალი წლისთვის ფერმერებმა რაიმის დათესვა მოახერხონ“, — აცხადებს ბექა გონაშვილი.

ბექა დანელია

რას გვიჩვენებს არჩევნები

„ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ავანსად გაცემული ნდობის მანდატი უსაზღვრო არაა“

არჩევნების შედეგებსა და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ საარჩევნო ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელს კახა კახიშვილს ესაუბრა.

— ცესკოს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას შეფასებით, უკანასკნელი არჩევნები საქართველოს არჩევნების ისტორიაში ყველაზე კომპლექსური და რთული არჩევნები იყო. თქვენ როგორ შეაფასებდით, ერთი მხრივ, ცესკოს ადმინისტრაციის საქმიანობას და, მეორე მხრივ, არჩევნების შედეგებს?

— თვითმმართველობის არჩევნები, სხვა დანარჩენთან შედარებით, ყველაზე რთულია. თუ საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტიები თავისი კანდიდატის გამარჯვებისთვის იბრძვიან, თუ საპარლამენტო არჩევნებზე პარტია და მისი მხარდამჭერები იბრძვიან პარტიისთვის და თავისი მაჟორიტარებისთვის ხმების მოსაზიდად, თვითმმართველობის არჩევნებში ჩართულია პარტიების მთელი სპექტრი, ვინაიდან ამ არჩევნებზეა დამოკიდებული მომავალი სამი წლის განმავლობაში მათი და მათი ახლობლების დასაქმების საკითხი - განსაკუთრებით რეგიონებში. ჩვენთან ხომ დასაქმება იმას უკავშირდება, რომელი ახლობელი სად დაინიშნება. პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართული არიან არა მარტო ამა თუ იმ კანდიდატის პოლიტიკური პარტნიორები, არამედ ახლობლები და ნათესავები. ამიტომაც იყო, რომ ხშირად დაპირისპირება კონფლიქტებში გადადიოდა. ამ არჩევნებზე იყო ბრძოლა დაახლოებით 1900 მანდატისთვის.

ეს არჩევნები ჩატარდა იმ საარჩევნო კოდექსის პირობებში, რომელიც მიიღო და აგურ-აგურ ააწყო „ერთიანმა ნაცმოძრაობამ“ თავისი მმართველობის პერიოდში. ფაქტობრივად, ეს კოდექსი სახელისუფლებო პარტიას აძლევს ისეთ ბერკეტებს, რომ ყველა არჩევნებზე მუდმივად გამარჯვებული გამოვიდეს. განურჩევლად იმისა, რეალურად რა რაოდენობის ამომრჩეველი უჭერს მას მხარს. „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კოდექსში შეიტანა ერთადერთი ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა 50%-იანი ბარიერის აწევას მერების არჩევისთვის. ამან გამოიწვია მეორე ტურების ჩატარების აუცილებლობა. მეორე ტურის ჩატარება ქვეყნისთვის გაცილებით უკეთესია, ვიდრე პირველ ტურში მერების 30%-ით არჩევა.

თუ ამ არჩევნებს შევადარებთ „ნაცმოძრაობის“ დროინდელს, ეს არჩევნები აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია. „ნაცმოძრაობა“ არჩევნებს არჩევნებამდე იგებდა — თუ როგორ, ეს ცალკე საუბრის თემაა.

— „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა არჩევნების მსვლელობისას და არჩევნების შეფასებისას საკმაოდ ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს. თქვენ როგორ შეაფასებდით მათ? რომელს გაიზიარებდით, რომელს - არა და რატომ?

— „ნაცმოძრაობა“ ცდილობდა მაქსიმალურად გაემწვავებინა პროცესები. რა თქმა უნდა, ადმინისტრაციული ხარვეზები იყო. ხშირ შემთხვევაში საარჩევნო ადმინისტრაცია ხელოვნურად აცხადებდა უარს საარჩევნო საჩივრების განხილვაზე. ძირითადად, ეს ხდებოდა საუბნო და საოლქო კომისიებში. ვინც დღეს არიან წარმოდგენილი საარჩევნო ადმინისტრაციაში, წინა წლებშიც იყვნენ და საკმაოდ გამოცდილები არიან. ისინი მაქსიმალურად შეეცადნენ რაც შეიძლება ნაკლები საჩივარი განეხილათ ადგილებზე. ამის საშუალებას მათ არსებული საარჩევნო კოდექსი აძლევდა.

მიუხედავად ამისა, ამ არჩევნებს „ნაცმოძრაობის“ დროინდელ არჩევნებს ვერ შევადარებთ. „ნაციონალების“ დროს არჩევნების დღეს არჩევნები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ კენჭისყრის დღემდე საარჩევნო წლის დადგომისთანავე იწყებოდა კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების მორალური განადგურება. ამას ემსახურებოდა მთელი მედია გამონაკლისების გარდა და ამას ემსახურებოდა მთელი ძალოვანი სტრუქტურა დაწყებული ფინანსური პოლიციით, დასრულებული საგადასახადო სამსახურებით. აღარაფერს ვამბობ ამ მიმართულებით სპეცსამსახურების ქვედანაყოფების, კუდისა და სოდის და შსს-ს აქტიურობაზე. ლიდერებს ხელს არ ჰკიდებდნენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ მუშაობდა მედია. ძალოვნები ამ ლიდერს აცლიდნენ მხარდამჭერებს და კენჭისყრის დღეს ლიდერი პრაქტიკულად მარტო რჩებოდა.

— ფაქტია, რომ როგორც 15 ივნისის არჩევნებზე, ისე განმეორებით ტურში ამომრჩეველთა აქტივობა საკმაოდ დაბალი იყო. თქვენი აზრით, ამომრჩეველმა თვითმმართველობის არჩევნების არსი მთელი სისრულით ვერ გააცნობიერა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო დაბალი აქტივობის მიზეზი?

— არ ვეთანხმები აზრს, რომ თვითმმართველობის არჩევნები ყოველთვის გამოირჩევა დაბალი აქტიურობით. აქტივობა მაშინ იყო დაბალი, როცა ხალხი ირჩევდა უუნარო საკრებულოს წევრებს. ყველამ კარგად იცოდა, რომ საკრებულო აბსოლუტურად არაფერს არ წყვეტდა და ვინ იქნებოდა რომელი ქალაქის საკრებულოს წევრი, ეს მოსახლეობას დიდად არ ანაღვლებდა. ხალხმა კარგად იცოდა, რომ რეგიონებში ყველაფერზე გადაწყვეტილებებს გუბერნატორი და მერი იღებდნენ. საკრებულოები იყო მხოლოდ დემოკრატიის ანტურაჟი. დღეს, როცა თითქმის ყველა საკრებულოში მანდატები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს აქვთ მიღებული, საქართველოს პირობებში არჩევნებზე აქტივობა უნდა ყოფილიყო საკმაოდ მაღალი.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ იყოს მაღალი აქტივობა. საარჩევნო კოდექსში რომ ყოფილიყო დათქმა, როდის ითვლება არჩევნები ჩატარებულად, მოსახლეობის რა პროცენტმა უნდა მიიღოს მასში მონაწილეობა, რომ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდეს, მაშინ ხელისუფლებას მოუწევდა ემუშავა აქტივობის ასამაღლებლად.

არჩევნებმა აჩვენა, რომ „ქართულ ოცნებაში“ მართვის კრიზისია. აშკარად ჩანდა, რომ ლიდერებამდე ამა თუ იმ საკითხზე სრული ინფორმაცია არ აღწევდა, ან თუ აღწევდა, მხოლოდ დაგვიანებით და ისიც არასრულყოფილად. „ქართული ოცნება“ რომ არ ყოფილიყო მმართველი კოალიცია, ჩვენ ნამდვილად არ ვიმსჯელებდით მისი საარჩევნო შტაბის გამართულობაზე და იმაზე, თუ რამდენად სწორი ინფორმაცია მიდიოდა მათ შტაბში რეგიონებიდან. არ ვისაუბრებდით კოალიციის შეცდომებზე არჩევნების მსვლელობისას. ვინაიდან, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და იკვეთება მართვის კრიზისის ნიშნები - იგი დამაფიქრებელი უნდა იყოს თავად ხელისუფლებისათვის.

ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა, რომ მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ძალიან მაღალი მოტივაცია ჰქონოდა. მეტიც, ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა ის, რომ საარჩევნო ბიულეტენებში გაჩენილიყო ყველას წინააღმდეგ მიცემული ხმის გრაფა. იმ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ მოხიბლულები არც სახელისუფლებო და არც ოპოზიციის კანდიდატებით, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. იმ ადამიანების ბიულეტენი, ვისაც ყველას წინააღმდეგ შეეძლოთ მიეცა ხმა, მოქმედი კანონმდებლობით, ბათილად მიიჩნევა, რაც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, გაიზარდოს მის მიერ მიღებულ ხმათა პროცენტი.

არჩევნების შედეგით ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ 2012 წელს „ქართული ოცნებისათვის“ ავანსად გაცემული ნდობის მანდატი უსაზღვრო არ არის და იგი იწურება. თუ ხელისუფლება გააგრძელებს ქვეყნის მართვას იმ სტილში, რა სტილშიც 2012 წლის ოქტომბრიდან მართავს, ეს მისთვის აშკარად წამგებიანი იქნება. ხელისუფლებას არა აქვს ხალხთან კომუნიკაცია, გადასულია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, კაბინეტების რემონტზე, პრემიების გამოწერაზე და ძვირადღირებული მანქანების შეძენაზე, რაზეც საზოგადოება უარყოფითად რეაგირებს.

— ახალარჩეულმა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ თბილისის მერია სტრუქტურულ ოპტიმიზაციას დაექვემდებარება. რეგიონებშიც ნავარაუდევია საჯარო მოხელეებისათვის ატესტაციების ჩატარება. თქვენი აზრით, მმართველი პარტია ხომ არ გაიმეორებს „ნაცმოძრაობის“ პრაქტიკას და საჯარო სამსახურიდან დაითხოვს ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით?

— ახალარჩეულ თბილისის მერს დავით ნარმანიას საკმაოდ რთული პერიოდი ელის. დღევანდელ პირობებში მერიის მართვა მისთვის მარტივი ნამდვილად არ იქნება. დღევანდელი საკრებული აღარ იქნება მხოლოდ დემოკრატიის ანტურაჟის როლში, როგორც ეს უგულავას დროს იყო. ნარმანიას ძალიან სერიოზულად მოუწევს მუშაობა იმისთვის, რომ ოპტიმიზებული მერიის თანამშრომლებთან ერთად თბილისს შესთავაზოს განვითარების ისეთი გეგმა, რომელიც მისაღები იქნება თბილისელებისთვის.

საკრებულოში რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტია შესული და არის ნიშნები, რომ საკრებულო აღარ იქნება მორჩილი. ყველა პოლიტიკურ სუბიექტს აქვს თავისი პოლიტიკური ინტერესები და ისინი აღარ შეასრულებენ მერიისათვის ნოტარიუსის როლს. ფაქტია, რომ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა საკმაოდ გავლენიანი იქნება. ყველა პოლიტიკურ ჯგუფთან საჭირო იქნება აქტიურ კომუნიკაციაში ყოფნა.

რაც შეეხება სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით დათხოვნის ალბათობას. ილუზიაა იმის მტკიცება, თითქოს „ნაციონალების“ დროს თვითმმართველობის ორგანოებში ადამიანები პოლიტიკური ნიშნით არ ინიშნებოდნენ და ინიშნებოდნენ მხოლოდ ცოდნითა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით კონკურსის საფუძველზე. **კონკურსები დეიურე ტარდებოდა, მაგრამ დე ფაქტო ამ „კონკურსებს“ კონკურსთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. კონკურსი იყო ფიქცია. კონკურსებს დღევანდელი ხელისუფლებაც ჩაატარებს.**

— რა იქნება ნარმანიას პირობებში? ყველამ იცის, რომ დღემდე თბილისის მერიაში დასაქმებული იყვნენ ადამიანები პოლიტიკური ნიშნით. ზოგი უბრალოდ ხელფასს იღებდა სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭოებში თითქოსდა საქმიანობით. „ნაცმოძრაობის“ აქტივი სახელმწიფოს ხარჯზე ემსახურებოდა პარტია „ნაცმოძრაობას“. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნარმანიამ ყველა ერთი ხელის მოსმით უნდა გაუშვას. ეს დამოკიდებული უნდა იყოს იმ ცოდნაზე და კვალიფიკაციაზე, რომელიც მათ აქვთ. ნარმანიამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამსახურიდან უმიზეზოდ გაშვებული თანამშრომლები სასამართლოში გაასაჩივრებენ გათავისუფლებას. მერია მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მას სასამართლოებში ბევრ საკითხებზე დავა მოუწევს.

— აშშ-ის, ბრიტანეთისა და ჰოლანდიის საელჩოებმა არჩევნებთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. მასში ნათქვამია, რომ „გიგი უგულავას წინააღმდეგ აღძრულმა სამართლებრივმა ქმედებებმა დაძაბა წინასაარჩევნო გარემო“. საელჩოებმა ასევე მიმართეს მთავრობას „შეინარჩუნოს სტანდარტი სამართლებრივი პროცედურების წარმოებისას“. უგულავასა და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების, გამოძიების წარმოებისა და პროკურატურის ქმედებებთან დაკავშირებით უამრავი შენიშვნა და კრიტიკა იქნა გამოთქმული. ახალი ხელისუფლება „პროცედურულ დემოკრატიას“ კი დაგვპირდა, მაგრამ საკმაოდ ბევრ ადამიანს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ რჩება შთაბეჭდილება, რომ მმართველი გუნდი წინა ხელისუფლების მისამართით პოლიტიკურ დევნას ახორციელებს.

— ვიცი, რომ თქვენ ასე არ ფიქრობთ, მაგრამ, საინტერესო იქნებოდა თქვენი აზრის მოსმენა იმისა, თუ რატომ ვერ ახერხებს პროკურატურა ახალი ხელისუფლების პირობებში საქმეების კვალიფიციურად გამოძიებას?

— როდესაც მოქმედი თუ ყოფილი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, ყველა ქვეყანაში, მათ შორის, ჩვენზე უფრო ღრმა და ძველი დემოკრატიის ქვეყნებში აქცენტი კეთდება საქმეების პოლიტიზებაზე. სარკოზის დაკავების შემდეგ თავად სარკოზიმ განაცხადა, რომ საფრანგეთის სასამართლო იმყოფება პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ, მაგრამ მან თავისი განცხადება არგუმენტებით ვერ გაამყარა, სამწუხაროდ, ჩვენთან არის მაგალითები, როცა „ნაცმოძრაობას“ ეძლევა საშუალება არგუმენტებით გაამყაროს კონკრეტული მოსაზრება პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით.

უგულავასთან დაკავშირებით ძირითადი აქცენტი, მათ შორის, ქალბატონ ეშტონის განცხადებაში, გაკეთებულია მორატორიუმის დარღვევაზე. არავინ არ საუბრობს ბრალის საფუძვლიანობაზე, პროკურატურის კონკრეტულ არგუმენტებზე, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების კანონიერებაზე.

— ისმის კითხვა — რა არის მორატორიუმი? პროკურატურის საქმიანობა დადგენილია კანონით „პროკურატურის შესახებ“. პროკურორები და გამომძიებლები ქმედებებს ახორციელებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არც კანონში „პროკურატურის შესახებ“, სიტყვა „მორატორიუმის“ შესახებ არაფერია ნათქვამი. საარჩევნო კოდექსშიც, რომელიც არეგულირებს საარჩევნო კამპანიას და ხმების შეჯამებას, ასევე არაა არაფერი ნათქვამი „მორატორიუმზე“. ისმის კითხვა, საერთოდ, რა მორატორიუმზეა საუბარი და რატომ დათანხმდა მორატორიუმს ხელისუფლება?

— ყველაზე სასაცილო და უცნაური არის ის, რომ **ის ადამიანები, რომლებიც მანამდე ღარიბაშვილისგან ითხოვდნენ ხელები შორს ჰქონოდა პროკურატურისაგან და გავლენის ბერკეტები არ ჰქონოდა მასზე, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ეუბნებიან ბატონ ღარიბაშვილს: იქნებ რამე ბერკეტი აღმოაჩინო და პროკურატურაზე და შსს-ზე იქონიო გავლენა და მათ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით გადადონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი გამოძიების ჩატარებაო.** ეს თავისთავადაა აბსურდი. იგივე რომ მოეთხოვათ ღარიბაშვილისაგან კუბლაშვილთან დაკავშირებით - იქნებ, კუბლაშვილს უთხრათ, რომ სასამართლომ გადადოს იმ საქმეების განხილვა, რომელშიც პოლიტიკოსები ფიგურირებენო, — რამხელა აბსურდი იქნებოდა.

ჩემი აზრით, თავად ღარიბაშვილის მხრიდან იყო ძალიან დიდი შეცდომა, როდესაც იგი დათანხმდა საერთოდ უკანონო მორატორიუმს. მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრემიერმა მიმართა პროკურორს მორატორიუმის დაცვასთან დაკავშირებით, პროკურორს უნდა გაეკეთებინა განცხადება, რომ პროკურატურა არის დეპოლიტიზებული, ის ვერ დაემორჩილება პოლიტიკურ ამინდს. მისი სამსახურის, ანუ პროკურატურის ამოცანაა მხოლოდ გამოძიებაზე ჭეშმარიტების დადგენა და არა გამონაკლისების და მორატორიუმების დაცვა, რომელიც საერთოდ არ ზის სამართლებრივ ჩარჩოებში. იგივე უნდა გაეკეთებინა სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებსაც. სამართალდამცავი სისტემის პოლიტიზების ნიშნები არსებობს, მაგრამ მორატორიუმები და გამონაკლისები სისტემას ვერანაირად ვერ გამოასწორებს. ამას სჭირდება სიღრმისეული რეფორმა, რომელიც ნამდვილად მოახდენს სისტემის რეალურ დეპოლიტიზებას.

— იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სოციალურ ქსელში თავის გვერდზე დაწერა — კარგია, რომ შევარდნაძე „ვარდების ხელისუფლების“ სცენიდან გაყვანას მოესწროო. თუ ქალბატონი თეა ქართულ პოლიტიკურ სცენას გულისხმობდა, ფაქტია, რომ ამ სცენაზე „ნაცმოძრაობა“ საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი და იგი ამ სცენის აქტიური აქტიორია. კოალიციის ლიდერები ხშირად იმასაც აცხადებდნენ, რომ მათ უკანასკნელი არჩევნებით ხელისუფლებიდან გაიცილეს „ნაციონალები“. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ჩემი აზრით, ეს არის მითი, რომელიც, ალბათ, სასიამოვნო მოსასმენია ძალიან ბევრი ადამიანებისთვის, მაგრამ ყველას კარგად ესმის, რომ 2016 წლამდე საკმაოდ ბევრი დროა. ჯერ ერთი, თვითმმართველობის არჩევნებზე არ წყდება პოლიტიკური პარტიის „რადარიდან გაქრობა.“

2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელზეც კოალიციას არ ჰყავდა პოპულარული კანდიდატი, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა მიიღო მილიონ 12 ათასი ხმა, მაშინ, როდესაც დავით ბაქრაძემ მიიღო 364 ათასი ხმა. ადგილობრივ არჩევნებზე პირველ ტურში „ოცნებამ“ მიიღო 720 ათასზე მეტი ხმა. თბილისში „ნაცმოძრაობამ“ დაახლოებით დაკარგა 30 ათასი ამომრჩეველი. ვინაიდან დაიფიქსირა 340 ათასამდე ხმა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობა“ რადარიდან არ გამქრალა. იგი 2016 წლამდე ისარგებლებს საპარლამენტო ტრიბუნით როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით.

ასე რომ, **არ ვფიქრობ თითქოს ადგილობრივი არჩევნების შედეგად „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური სცენიდან გაქრა. პირიქით, იგი „ქართულმა ოცნებამ“ გააძლიერა. მას შეუქმნა ერთადერთი პოლიტიკური ოპონენტის იმიჯი. ვიმეორებ, ხელისუფლებას აწყობს „ნაციონალების“ მსგავსი დისკრედიტებული პოლიტიკური ძალა, რომელიც 2016 წლამდე ყველა პოლიტიკურ პროცესში და გადაწყვეტილებების მოღებაში იქნება ჩართული.**

თუ „ოცნებამ“ ასე გააგრძელა საქმიანობა, შეესაძლოა, მან 2016 წლის არჩევნები მოიგოს, სხვაზე უფრო წარმომადგენლობით შევიდეს პარლამენტში, მაგრამ მარტო ვერ შეძლებს მთავრობის ჩამოყალიბებას. თავად კოალიციას მოუწევს სხვა რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან ერთად უმრავლესობის შექმნა.

ესაუბრა
კოგა გენდელიანი

შანტაჟი პრემიერ-მინისტრისა და მოსახლეობის წინააღმდეგ

ელექტროენერგიის ტარიფი ის თემაა, რომელიც დღემდე ბურუსითაა მოცული, ასე გაგრძელდება იქამდე, ვიდრე სემეკი არ მიიღებს გადაწყვეტილებას - ინფორმაცია გაასაჯაროოს. ითქვა, თითქოს რეგიონებს ელექტროენერგია გაუძვირდებოდათ, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრმა და ენერგეტიკის მინისტრმა უარყვეს ეს ფაქტი, ხოლო პრემიერმა ღარიბაშვილმა ამ თემის აგორებას პროვოკაცია უწოდა.

რას ემსახურებოდა, ერთი მხრივ, ენერგო-პროს მოწოდება, რომ ტარიფი უნდა გაიზარდოს, თუ ქვეყნის განვითარება გვსურს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების მხრიდან უარყოფა, რომ ტარიფი არ იზრდება და არსებული შენარჩუნდება, ამ თემაზე „თელასის“ და „ჟინერის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, „ორთაჭალაჰესის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, ენერგეტიკის აკადემიის წევრი თემურ ჭიჭინაძე გვესაუბრება.

მაინც, რატომ არ მცირდება ტარიფი?

— ეს იყო მიზანმიმართული შანტაჟი, რომელიც, ჩემი აზრით, გათვლილი იყო პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილსა და მოსახლეობაზე. ეს დასჭირდათ იმისთვის, რომ არ დამდგარიყო ტარიფის შემცირების საკითხი. ამ თემაზე საზოგადოება საკმაოდ ბევრს საუბრობს.

ტარიფის ხელახლა დათვლის მიზეზი თითქოს მემორანდუმის ვადის ამოწურვა იყო, მაგრამ ბევრჯერ გვისაუბრია იმაზეც, რომ ენერგო-პროს ტარიფი არცერთხელ არ დათვლილა და არც გადათვლილა. მას ეს ტარიფი მინიჭებული აქვს ზეპირად და არაადეკვატურად დიდია.

ამიტომ, როდესაც გადათვლაზეა საუბარი, ეს არარეალურია, რადგან ამ კომპანიას არასდროს არ ჰქონია ტარიფი რეალურ დანახარჯებზე გაანგარიშებული — ეს იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელისა და მისი მინისტრების მინიჭებული და სემეკის მიერ ზეპირად დამტკიცებული.

— როგორ ფიქრობთ, შანტაჟის მიზანი რა იყო?

— დაიწყებოდა საუბარი, რომ აი, ტარიფი გაიზრდება ერთი თეთრით, ნახევარი თეთრით, რაც მოსახლეობაში გამოიწვევდა უარყოფით რეაქციას. მერე როგორც ხდება-ხოლმე, გვეტყოდნენ, რომ კარგი, თქვენი ხათრით არ გავზრდით ტარიფს და მადლობას გვათქმევინებენ იმაზე, რასაც ისედაც ვიხდიდით სამმაგად და ორმაგად — სწორედ ასე მოხდა, ერთი დღით ახმაურდნენ, ჩაატარეს რაღაც გაუგებარი ფორუმი, რომელშიც ერთობლივად მიიღო მონაწილეობა სემეკმა, ენერგო-პრომაც და ენერგეტიკის სამინისტრომაც.

რას ემსახურებოდა ეს ფორუმი გაუგებარია, სავარაუდოდ, ტარიფის გაზრდაზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამინისტრო გვეუბნება, გაზრდა არ იგეგმებაო. მაშინ რატომ იყო ეს ხმაური? მინისტრმაც და მისმა მოადგილეებმაც განაცხადეს, რომ მცირეოდენი ზრდა მოხდებაო. ეს ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი ჩაიფარცხა.

— ანუ ეს ემსახურებოდა იმ ტარიფის შენარჩუნებას, რაც ნოღაიდელმა დაუდგინა ენერგო-პროს?

— თავისთავად, რადგან ამ კომპანიას ტარიფი, როგორც უკვე გითხარით, ზეპირად დაუდგინეს, მას ჰქონდა უამრავი ვალდებულება, დღეს საუბარია 55 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებაზე, თუმცა, მათი ძველი ვალდებულება ასობით მილიონი დოლარის ინვესტირებას გულისხმობდა, რაც არ შეუსრულებიათ, თუმცა, მოსახლეობას ეს თანხა უკვე გადახდილი აქვს — 2007 წლიდან ენერგო-პროს დაახლოებით 500 მილიონზე მეტი მოსახლეობისგან აქვს უკვე უკანონოდ ამოღებული, ტარიფის მეშვეობით.

ნებისმიერი ჩვენგანი, წესით, ამ საბაჟიო საზოგადოების აქციონერი უნდა იყოს, რადგან ჩვენს ხარჯზე ხდება ინვესტირება. ახლა გვამადლიან, რომ ამხელა თანხები ჩადეს სისტემის მოსაწესრიგებლად — არავის არ დაუთვლია, რა დახარჯეს, რა იყო ვალდებულება და რატომ არ სრულდება ის.

— წინა ხელისუფლება, გასაგებია, რატომაც არ ამოწმებდა ვალდებულებების შესრულებას, ან რეალურ ტარიფს რატომ არ ადგენდა სემეკი. ამ ხელისუფლებას არაფრის შეცვლა არ შეუძლია?

— ენერგეტიკის სამინისტროში არ შეცვლილა არავინ, მინისტრის გარდა. ყველგან დარჩა ძველი, „ნაციონალური მოძრაობის“ კადრები, ასეა სემეკშიც, სადაც დღესაც ის კადრები მუშაობენ, რომლებმაც არაკანონიერად დაუკანონეს იგივე ენერგო-პროს ტარიფი.

ისევ ის ხალხი წყვეტს ყველაფერს, — სემეკი, მინისტრის მოადგილე ვალიშვილი, რომელმაც, ნახეთ, რა განცხადებებიც გააკეთა, რომ, შესაძლოა, მცირე ზრდა მოხდესო. ერთი და იგივე წრეა, ერთი და იგივე ხალხი — ეს იყო ტესტი არჩევნების შემდეგ, რომ შეემოწმებინათ, როგორ აღიქვამდა მოსახლეობა ამას. როგორც ჩანს, დაკვეთა იყო ვიღაცისგან, მათი ძველი ხელმძღვანელობისგან, რომ ასე გაეკეთებინათ.

რაც შეეხება სემეკის ფუნქციებში ჩარევას, 2004 წლიდან ყოველთვის ერეოდა პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი და მინისტრები, გილაური და ხეთაგური და დღესაც მას თავიდან ბოლომდე აკონტროლებს სამინისტრო.

— მთავრობას იმისი უფლება მაინც აქვს, თუნდაც ეკონომიკის სამინისტროს, ინვესტორის მიერ შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებები გამოავლინოს, ეს ხომ მაინც შესაძლებელია რომ გაკეთდეს?

— შესაძლებელი კი არა, აუცილებელიც არის. გასაგებია, რომ ამას ძველი ხელისუფლება არ ითვლიდა, მაგრამ, რატომღაც ახალი ხელისუფლებაც არ ითვლის და ამოფარებულები არიან რაღაც გასაიდუმლოებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც არავის არ აქვს მასში ჩახედვის უფლება.

ამ დროს, ამ ხელშეკრულებაში როგორც ვიცი, გარკვევით წერია ენერგო-პროს ვალდებულებები, რომ უნდა აეშენებინა ასმეგავატიანი ელექტროსადგური, უნდა განეხორციელებინა გარკვეული ინვესტიცია. ეს ყველაფერი გაკეთებული არ აქვს — სამაგიეროდ, მთელი საქართველოს ენერგოსისტემის 2/3 მხოლოდ 120 მილიონ დოლარად აქვს ნაყიდი. რა ინვესტიციაზეა საუბარი? იმაზე, რასაც მოსახლეობა წინსწრებით იხდის?

არათუ ეკონომიკის სამინისტრო, ამით სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს მათი პარპაში, მონოპოლიური მდგომარეობა და ერთხელ და სამუდამოდ დაადგინონ ის ტარიფი, რომელიც გვეკუთვნის გადასახდელად.

— საზოგადოებისგან უნდა წამოვიდეს მოთხოვნა, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ნება თუ რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ რეალურად დაითვალოს ტარიფი და ინვესტორს ყველა გადაცდომაზე პასუხი მოსთხოვოს?

— სამწუხაროდ, საზოგადოება ინერტულია, მედია ჩუმად არის, მხოლოდ მაშინ ახმაურდნენ, როცა გაიგეს, რომ ტარიფი იზრდებაო. იმაზე, რომ უკანონოდ ვიხდით ამხელა თანხებს, ხმას არავინ იღებს. საზოგადოება რომ ახმაურდეს, გარწმუნებთ, ტარიფი არ განახევრდება, მაგრამ საგრძნობლად დაიკლებს, რითაც მოსახლეობა შვებას იგრძნობს. საამისო პოლიტიკური ნება სახელმწიფომაც უნდა გამოავლინოს. შესაძლებელია, ჟურნალისტური გამოძიებების ჩატარებაც, მაგრამ სამართალდამცველები აუცილებლად უნდა ჩართონ ამ საქმეში, რადგან მილიონობით თანხები ილექება ვიღაცების ჯიბეებში.

— როგორ ფიქრობთ, რას ემსახურებოდა ენერგო-პროს განცხადება, რომ თუ საქართველოს სურს განვითარდეს, ტარიფი უნდა გაზარდოს?

— ენერგო-პრო მარტო ჩეხური კომპანია არ არის, ქართველი ჩინოვნიკები მოიაზრებოდნენ და მოიაზრებიან დღესაც როგორც ძველი, ისე ახალი. ენერგო-პრო ამ თამაშს ვერ ითამაშებს, რომ არ ჰქონდეს მწვანე შუქი ანთებული.

ენერგო-პრომ მშვენივრად იცის, რა თანხები აქვს მითვისებული, უკანონოდ წაღებული, მაგრამ მიზანი ის იყო, რომ სიღრმეში არ ჩასულიყვნენ და ძველი ინვესტიციების შემოწმება არ მოეთხოვათ.

— ხელისუფლების ინტერესში უნდა იყოს, რომ რეალური ტარიფი მოქმედებდეს ქვეყანაში, რადგან ეს ის ხელისუფლებაა, რომელსაც სამართლიანობის დამყარების პრეტენზია აქვს. თქვენი ვარაუდით რა ხდება?

— ვფიქრობ, ღარიბაშვილს ჰყავს ძალიან ცუდი მრჩეველი ენერგეტიკაში. მგონია, არ აწვდიან სწორ ინფორმაციას იმის შესახებ, რაც დღევანდელ ენერგეტიკაში სუფევს. კიდევ ვიმეორებ, დღევანდელ ენერგეტიკას თავიდან ბოლომდე ის ხალხი განკარგავს, რომელიც განკარგავდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. ის ხალხი, რომელიც თავის დროზე დაასაქმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სემეკში, ამიტომ ეს უნდა იყოს პოლიტიკური ნება.

— რაც შეეხება კალაძეს, რომელიც უშუალოდ კურირებს ენერგეტიკის სფეროს? მანაც არ იცის რა ხდება?

— თუ არ იცის, ძალიან ცუდი, იმიტომ, რომ უკვე დროა, იცოდეს. თუ იცის და შეგნებულად აკეთებს, ეს ორმაგად ცუდია. ბევრჯერ ყოფილა წამოწეული თემა, რატომ არ მცირდება ტარიფი და კალაძეს ამ საკითხზე რეალური პასუხი არასდროს გაუცია. არა თუ კალაძისგან, არც ერთი ჩინოვნიკისგან არ მოგვისმენია, რატომ არ ხდება ტარიფის რეალური შემცირება.

ესაუბრა
მარიამ თოდაძე

◎ კაკალ გულში

● **არასამთავრობო სექტორი ბეზრაზმერნია?**

აარსებენ, ქმნიან, აყალიბებენ, აფუძნებენ და აღარ უჩანს ბოლო!

ვთქვი ერთხელ, — დავირქვათ არასამთავრობო ქვეყანა და მაგის ჯანი! ფული ბლომად გვექნება და საქმე არაფერი, ტლიკინ-ტრაკანის გარდა.

● **დროდადრო ირმა ნადირაშვილი და ჩიორა მერევა ერთმანეთში და რომელს უნდა მოვუხადო ბოდიში?**

● **აშშ-ის ელჩის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი;**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი ჯეინ ფსაკი.

ქართველებს დაგვიცინიან (ღვინის სმა რომ იციან)?

● **რა მაგარი რამეა ეს ფბ, მონიშნავ ვინმე ხელისუფალს, დაწერ რაც გინდა და ნირვანაში იჩითები, ასე გგონია, რომ საქვეყნოდ თავი მოჭერი!**

● **აბა თქვენ იცით** Irakli Garibashvili Oficial **ვინმე ნაზონდერალი დანიშნეთ სუბარის ადგილას!**

წერტილოვანი ფრაზები

● **მარგველაშვილმა ისე საყვარლად განმარტა თავისი ფუნქცია (მარტო შეკითხვის დასმა მევალება პარლამენტისთვისო), რომ შემეცოდა და „ცისფერი მთები“ გამახსენდა:**

„— მე, პატარა კაცი ვარ, ძია ვასო, რასაც ჩამძახებენ, იმას ამოვძახებ...“

● **საკრებულოს შემხედვარეს, მელ გიბსონის გენიალური ფილმის „მამაცი გულის“ სიუჟეტი მახსენდება, სადაც დიდებულები მიწებს და გავლენის სფეროებს ვერ იყოფენ, იმ დროს, როცა ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია. დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 70 % მშიერი და უმუშევარია, ესენი თანამდებობებს და პრემიებს ვერ იყოფენ.**

● **რა ჩვენი საქმეა, ვის დანიშნავს და ვის მოხსნის პრემიერი — თვითონ გვივარდება სახლში და გვასწავლის რა როგორ გავაკეთოთ?**

● **დაანებეთ თავი ზოოპარკს. ძაან კაი ადგილასაა. ადვილად მიყავთ მშობლებს ბავშვები. თბილისის ზღვაზე როგორ ატაროს, ვისაც მანქანა არ ყავს? თუ ხეების დარგვა გინდათ, ადგილის მეტი რაა, გაჩანაგებული და გაჩეხილია ქალაქი. დაიწყო, მგონი, ახალი სამკუთხედები და წვეტიანი აზრები. სანამ რამეს გადაწყვეტთ ხალხს კითხეთ, ხაალხს!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

უკვე აღარ არის საჭირო რევერანსები რუსეთის მიმართ

ვინ ჩამოაგდო ბოინგი — ამ თემის შესახებ ვერსიები და ბრალდებები მრავალგვარია. საერთაშორისო საზოგადოების ნაწილი, დონეცკში მომხდარი ავიაკატასტროფის გამო, რომლის ბორტზეც უკლებლივ ყველა ადამიანი — 298 მგზავრი დაიღუპა, რუსეთს ღიად ადანაშაულებს.

„პუტინი შორს წავიდა და ჩვენ ამის მოთმენას არ ვაპირებთ... თუ დონეცკის კატასტროფასთან რუსეთია კავშირში, რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ ეს მას ძვირად დაუჯდება“, — ეს აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოსაზრებაა.

რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა პუტინი ტრაგედიაში პირადად დაადანაშაულა. მაკ-კეინის თქმით, სეპარატისტებმა ამის გაკეთების შესაძლებლობა რუსეთისგან მიიღეს და დამნაშავე მხარე აქ ვლადიმერ პუტინია. „გვაპატიეთ“, — ამბობენ რუსი მოქალაქეები და ამ ტრაგედიაში საკუთარ ხელისუფლებას ადანაშაულებენ.

თვითმხილველები აცხადებენ, რომ ლაინერის ჩამოვარდნამდე სროლის ხმა გაისმა, რასაც აფეთქება მოჰყვა, ხალხი კი პირდაპირი მნიშვნელობით, ციდან, ღრუბლებიდან ცვიოდა, მათ შორის, — ჩვილი ბავშვებიც.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა „ბოინგის“ ჩამოვარდნის გარემოებების გამოძიებას იწყებს. თავის მხრივ, უკრაინული მხარე დარწმუნებულია, რომ თვითმფრინავი კრემლის დაკვეთით, რუსული იარაღით ჩამოაგდეს. უკრაინა აპირებს, გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე რუსეთის წინააღმდეგ მტკიცებულებები წარადგინოს. ვლადიმერ პუტინი კი მალაიზიის ბოინგის ჩამოგდებაზე მთელ პასუხისმგებლობას უკრაინას აკისრებს, რადგან ტრაგედია არ მოხდებოდა, უკრაინაში რომ მშვიდობა ყოფილიყო.

როგორც უკრაინის ელჩი საქართველოში ვასილი ციბენკო აცხადებს, უკრაინას აქვს მტკიცებულებები, რომ მალაიზიური „ბოინგ-777“ რუსულმა საზენიტო სარაკეტო დანადგარმა „მიწა-ჰაერმა“ ჩამოაგდო. პირველი ასეთი მტკიცებულება სატელეფონო ჩანაწერია, ხოლო მეორე — აშშ-ის შესაბამისი ტექნიკური საშუალებების მიერ დაფიქსირებული მონაცემები.

რაც შეეხება სკანდალურ სატელეფონო ჩანაწერებს, საუბარია უკრაინის უშიშროების სამსახურის მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერებზე, სადაც ფიქსირდება საუბრები სეპარატისტებსა და რუსეთის დაზვერვის თანამშრომლებს შორის. საუბრის მიხედვით, სეპარატისტებს ეჭვი ჰქონდათ, რომ თვითმფრინავით შეიარაღება და ჯაშუშები გადაჰყავდათ.

კატასტროფაზე პასუხისმგებლობას ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტს აკისრებს და ევროპას არასათანადო ყურადღების გამო აკრიტიკებს: **„რამდენიმე თვის წინ, ბრიუსელის ფორუმზე ჩემი კრიტიკული გამოსვლის დროს, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა აგრესიულად მომმართა: „თქვენ გვთავაზობთ დავბომბოთ რუსეთი?“ რაზეც მე ვუპასუხე - „არა, დაელოდეთ სანამ ისინი დაგბომბავენ თქვენ“. რა თქმა უნდა, დარბაზში დამსწრეთაგან გარკვეულმა ნაწილმა ჩემი რეპლიკა არადიპლომატიურად ჩათვალა“.**

ეს უკვე მორიგი გახმაურებული ფაქტია, როცა კაჩინსკის თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემდეგ ბრალდებები რუსეთისკენ მიდის. ამჯერად ვის ინტერესში შედიოდა სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდება და როდემდე შეიძლება გაგრძელდეს რუსული აგრესია?

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ, თუკი ვინმეს პოლიტიკურად აწყობდა ეს ტრაგედია, პირველ რიგში — მოსკოვს. ასეთი ქმედება რუსეთისთვის უცხო არ არის. თავის დროზე, გორბაჩოვის დროსაც, რუსეთმა სამხრეთ კორეის თვითმფრინავი ჩამოაგდო, იქაც ზუსტად 300 მგზავრი იყო. გარდა ამისა, კაჩინსკის თვითმფრინავის ჩამოვარდნის მიზეზიც დღესაც გაურკვეველია. ვარშავამ საჯაროდაც რომ განაცხადოს, მოსკოვმა ჩამოაგდო კაჩინსკის თვითმფრინავი, ამას უნდა მოჰყვეს ევროკავშირის მხრიდან უსასტიკესი სანქციები რუსეთის მიმართ. თუმცა, ევროპაში სანქციები არავის აწყობს, პოლონელების გარდა.

„ეს საკითხი საუკუნის საიდუმლოებაა, ისევე, როგორც არასოდეს გაიხსნება ჯონ და რობერტ კენედების სიკვდილი. ვინც სასხლეტს გამოკრა თითი, შეიძლება ის მონახონ, მაგრამ შემკვეთები არასოდეს გამოჩნდება. ასევე იქნება მალაიზიური „ბოინგ-777“-ის თვითმფრინავის შემთხვევაშიც, ეს ფაქტიც არ გაიხსნება. პუტინი ტანკში ზის, ძნელია მისი დადანაშაულება, მის ხელშია კოზირი, რომ უკრაინაში ომია. პუტინი სწრაფად იტყვის, მე რა შუაში ვარ, უკრაინის მოქალაქე სეპარატისტებმა ჩამოაგდეს ლაინერი, პოროშენკომ ვერ მოახერხა მათთან ურთიერთობაო. ამიტომ იქით დასდებს ბრალს ევროპას, მე ხომ გეუბნებოდით, ვაიძულოთ პოროშენკო, შეწყვიტოს ომიო. ძნელი სავარაუდოა, ევროპამ პუტინი შეაშინოს“, — აცხადებს სოსო ცინცაძე.

ამავდროულად, ფიქრობს, რომ ანგელა მერკელმა ორიენტაცია დაკარგა, ყოველდღიურად ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. ოთხი დღის წინ მერკელმა აღნიშნა, გაზსადენის სამხრეთ ნაკადის საკითხში გერმანელი ბიზნესმენების ინტერესებით ვიხელმძღვანელებთო, მერე თქვა, თუ მიდგომას არ შეცვლის, პუტინს ამას ძვირად დავუსვამთო.

„ახლა „მთამ შვა წრუწუნა“, 11 სეპარატისტს გაუყინეს ფინანსები, ეს სასაცილოა. დღეს უკვე ევროპაში მთავარ ვიოლინოდ გერმანია იკვეთება. იგრძნობა გერმანიის დომინირება ევროპაში. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ახლანდელი გერმანია შევადაროთ გასული საუკუნის 30-იანი წლების გერმანიას, მაგრამ გერმანიას დღეს სხვა იარაღი აქვს -ეკონომიკა, ფინანსები. ევროკავშირის და ევროპის ლოკომოტივი გერმანიაა, ამიტომ მერკელის სიტყვა გადამჭრელია. 1200 გერმანული მსხვილი კომპანია მუშაობს მოსკოვში, ე.ი ფულს შოულობს რუსეთში. მიაქციეთ ყურადღება, პუტინმა ხელოვნურად სასათბურე პირობები შეუქმნა მხოლოდ გერმანულ კომპანიებს და — არა ფრანგულ, ამერიკულ, ინგლისურ ან იტალიურ კომპანიებს. ამით მიაჯაჭვა ისინი რუსეთს. ამერიკაც არ არის რეიგანის ამერიკა, ესაა უმოქმედო, სუსტი, უინიციატივო და გაუბედავი პრეზიდენტის ამერიკა. დასავლეთმა სირიაშიც ვერ თქვა გადამწყვეტი სიტყვა და რუსეთთან მიმართებით იტყვის? ამიტომ პუტინს არანაირი სერიოზული საფრთხე არ ელის დასავლეთისგან. როდესაც ვექტორულ სანქციებზე მიდგება საქმე, მაშინ შეიძლება დავიჯერო, რომ მართლა რაღაცის გამკეთებელია დასავლეთი. ვგულისხმობ გაზის მრეწველობას, ნავთობს, მეტალურგიას, ქვანახშირს, ატომური ელექტროსადგურების სფეროში თანამშრომლობას“.

„სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის“ მკვლევარი **კახა გოგოლაშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ბოინგის ტრაგედიაში, სავარაუდოდ, რუსული კვალი დადასტურდება. რუსეთი უკვე ჩაება ომში უკრაინასთან, იყენებს გრადებს უკრაინის ჯარის წინააღმდეგ, იყენებს სხვადასხვა სახის მასიური განადგურების იარაღს უკრაინული ქვედანაყოფების წინააღმდეგ. ამიტომ აუცილებელია, სერიოზული სამხედრო დახმარება გაეწიოს უკრაინას, ყველა სახის იარაღი მიაწოდონ მას და დაეხმარონ, ანტიტერორისტული ოპერაციის ბოლომდე მიყვანაში. უკვე აღარ არის საჭირო ზედმეტი რევერანსები რუსეთის მიმართ.

„აუცილებლად უნდა დაწესდეს კიდევ უფრო მძლავრი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. პუტინი ახლა ყველაფერს დააბრალებს უკრაინას, აბა რა უნდა ქნას? მაგრამ პენტაგონის დაზვერვამ აღმოაჩინა, საიდან იქნა რაკეტა გაშვებული, რომლითაც ჩამოაგდეს ეს თვითმფრინავი. გირკინი და სხვა ტერორისტული დაჯგუფების ლიდერები გაჰკიოდნენ, რომ ჩამოვაგდეთ უკრაინული თვითმფრინავი და იქ გდიაო, ზუსტ ადგილს მიუთითებდნენ. აღმოჩნდა, რომ მალაიზიური თვითმფრინავი ჩამოაგდეს და არა — უკრაინული. ასევე, დისპეტჩერებს აქვთ დაფიქსირებული, რომ ორი სატრანსპორტო თვითმფრინავი მიფრინავდა იმავე მარშრუტით. აშკარაა, უნდოდათ, უკრაინული თვითმფრინავის ჩამოგდება, მაგრამ ქვევით ჩამოაგდეს მალაიზიური თვითმფრინავი. აქ უამრავი დამთხვევაა. აღნიშნული თვითმფრინავის ჩამოსაგდებად, სულ მცირე „ბუკ“-ის ტიპის საზენიტო დანადგარია აუცილებელი, რაც, სავარაუდოდ, სეპარატისტებს არ ექ-

ნებოდათ. თავის დროზე უკრაინელებს მოუვიდათ ასეთი შეცდომა და სწავლების დროს შემთხვევით ჩამოაგდეს უცხო ქვეყნის თვითმფრინავი 2001 თუ 2002 წელს, მაშინ უკრაინამ აღიარა ეს შეცდომა. რუსეთი კი ამას არ აღიარებს“, — აცხადებს კახა გოგოლაშვილი და არ მალავს, რომ კაჩინსკის დაღუპვასთან დაკავშირებითაც მას ეჭვები რუსულ კვალთან დაკავშირებით უჩნდება.

მანანა ნოზაძე

◎ განცხადება

პარტნიორთა საყურადღებოდ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სატავტოტრანსი-2“-ის შეტყობინება პარტნიორთა კრების გამართვის თაობაზე

შპს „სატავტოტრანს-2“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი 226517025, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ისნის რაიონი, რუსთავის გზტ, მე-15 კმ) (შემდგომში „კომპანია“) იტყობინება, რომ კომპანიის პარტნიორების:

— 33.07% წილის მფლობელი ვაჟა უსანეთაშვილი;
— 33.01% წილის მფლობელი ილია შონია;
— 21.67% წილის მფლობელი გრიგოლ შონია;
— 8.62% წილის მფლობელი თენგიზ გავაშელი;
— 3.33 % წილის მფლობელი სამსონ ჩხიკვაძე;

მოთხოვნით კომპანიის დირექტორი შიო შუკაკიძე იწვევს კომპანიის პარტნიორთა კრებას, რომელიც გაიმართება 2014 წლის 28 ივლისს, ორშაბათს დღის 12 საათზე მისამართზე: ქ..თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №4.

კრების დღის წესრიგი:

1. კომპანიის წესდების ცვლილება/ახალი რედაქციის დამტკიცება,რომლითაც გაუქმდება წესდების არსებული რედაქციის 7.1.30 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ყველა გადაწყვეტილებისთვის, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების თანხმობის საჭიროების თაობაზე; აგრეთვე, შეიცვლება მოქმედი წესდების მე-11 მუხლით გათვალისწინებული უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პარტნიორების განსაზღვრის წესი. კერძოდ, მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე ყველა პარტნიორის ნაცვლად, წესდების ახლი რედაქციის თანახმად, უპირატესი შესყიდვის უფლებით ისარგებლებს მხოლოდ ის პარტნიორ(ებ)ი, რომელთა წილი კომპანიაში უტოლდება ან აღემატება 5 (ხუთ) პროცენტს.

„კომპანია“ მიმართავს კომპანიის პარტნიორებს:

— ბ-ნ თამაზ მერაბიშვილს;
— ბ-ნ ნურახმედ ნურიევს;
— ბ-ნ ტახირ ახმედოვს;
— ბ-ნ მამედ ალასკაროვს;
— -ბ-ნ ზაქარია ალთუნაშვილს;
— ბ-ნ ილგარ გასანოვს;
— ბ-ნ ბახვა ღვედაშვილს;

გაითვალისწინონ, რომ კრებაზე მათი გამოუცხადებლობისას კრება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს განიხილავს კრებაზე კვორუმის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, მოქმედი წესდების 6.2 პუნქტის თანახმად კრებაგადაწყვეტილებაუნარიანია (კვორუმი შედგება), თუ მას ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები.

წინამდებარე შეტყობინების თარიღიდან სამი დღის ვადაში კომპანიის პარტნიორებს შეუძლიათ წარმოადგინონ დამატებები კრების დღის წესრიგში.

შიო შუკაკიძე,
დირექტორი.
21 ივლისი, 2014 წელი

აფთიაქები თვალთმაქცობენ

თურმე წამლებს იმიტომ აძვირებენ, რომ მერე „იაფად“ მოგვყიდონ!..



ამ ჩვენს მყვირალა სატელევიზიო რეკლამებს თუ დავუჯერებთ (ან რატომ არ უნდა დავუჯეროთ, როდისმე მოვუტყუებივართ, თუ?!), ან კიდევ ღია ეთერით მმოძღვრავ სამკურნალწამლო დარგის ცალკეულ თავკაცებს, ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ისეთი საღსალამათი კონკურენციაა გაჩაღებული, რომ მედიკამენტებზე აქა-იქ შემორჩენილი მაღალი ფასებიც კი სულ პანტაპუნტით ცვივა. მეც ასე მეგონა, მაგრამ ორი დღის წინათ ერთ-ერთ ასეთ იაფფასიან აფთიაქში წამლების საყიდლად რომ შევედი, იქ სულ სხვა სურათი დამხვდა.

— შვილო! — მიმართავს თეთრწვერა პენსიონერი თეთრხალათიან ქალბატონს, — აბა ნახე მაგ კომპიუტერში, „სენადე“ არა გაქვთ?

— კი, ბაბუ, გვაქვს, როგორ არა გვაქვს, რამდენ ფირფიტას ინებებთ?

— ერთი იყოს, შვილო, ბევრის ფული სადა მაქვს?

— კეთილი, ერთი ფირფიტა ლარი და 70 თეთრი დაგიჯდებათ.

— ვა, ამდენი კაცო? — განცვიფრდა ბერიკაცი, — ამ ერთი კვირის წინათ რო ვიყიდე, ლარი და 10 თეთრი გადავიხადე, ახლა რა ბზიკი შეუჯდა?

— ბზიკი რა შუაშია, ბაბუ, ამ ბოლო დროს მარტო „სენადემ“ კი არა, სხვა წამლების ფასმაც მოიმატა — აუხსნა აფთიაქარმა.

— ხედავთ, რას მეუბნება, ხალხო? — შემოტრიალდა მოხუცი, — სხვა წამლების ფასმაც მოიმატაო! თითქოს ეს ჩემთვის შეღავათი იყოს. მე თქვენ გეკითხებით, ბოლოს და ბოლოს, აღარ უნდა დამთავრდეს წამლებზე ცეცხლის კიდება?

— დამშვიდდით, ბაბუ, — შეეცადა თეთრხალათიანი პენსიონერის დაწყნარებას, — წამლები მართალია გაძვირდა, მაგრამ სამაგიეროდ მათ ფასდაკლებით ვყიდით.

— ფასდაკლებით? — შეეჭვდა ბერიკაცი.

— ჰო, ფასდაკლებით. აი, მაგ „სენადეში“, მაგალითად, რომელიც ლარი და 70 თეთრი ღირს, ფასდაკლებით სულ რაღაც ლარსა და 35 თეთრს გადაიხდით.

— ნუ გააძვირებდით, ბატონო, და აღარც ფასდაკლება დაგჭირდებოდათ. ახლა რა გამოდის, მეუბნებით ფასდაკლებით გაძლევთო და სინამდვილეში ფასნამატით მაყიდებთ. ტარანი ანგარიშით არ არის, კაცო, ფირფიტა „სენადე“ ლარი და 10 თეთრი ღირდა, ახლა ლარი და 35 თეთრი უნდა გადავიხადო და თანაც უნდა დავიჯერო, რომ ფასდაკლებით მომცეს. ეს ხომ აშკარა თვალმაქცობაა?!

— გშველით მაინც, ბაბუ, ეგ რაღაც „სენადე“, ავადობის დაძლევაში? — დაინტერესდა ახალგაზრდა სათვალიანი მამაკაცი.

— არა შვილო, ეს სენს არ კურნავს, უბრალოდ კუჭს ეხმარება საჭმლის მონელებაში. ამ წამალს ძირითადად ჩემნაირი ხანდაზმული ადამიანები ხმარობენ, მაგრამ ისე ვატყობ, მოკლე ხანში პენსია მარტო წამლებსაც არ ეყოფა, საკვებს საერთოდ ველარ ვიყიდი და შესაბამისად მისი მომნელებელი პრეპარატიც აღარ დამჭირდება.

— აი, მაშინ კი ნაღდად გაიაფდება „სენადე“! — გაიღიმა ირიბად სათვალიანმა.

— ზოგს შეიძლება სასაცილოდ არ ეყოს ეს ამბავი, — ჩაერია საუბარში ხანდაზმული მსუქანი ქალბატონი, — მაგრამ რეალობა, რომელშიც პენსიონერები აღმოვჩნდით, მძიმე და შოკისმომგვრელია. ფართო მოხმარების პრეპარატი „ნოშპაა“, რომელიც 5,40 ლარი ღირდა, ახლა 6,60 ლარი გახდა, „პუროქსანის“ ფასი 15 ლარიდან ერთბაშად 19 ლარამდე გაიზარდა. გული სისტემატურად მაწუხებს და მუდმივად მჭირდება წამლები, რომელთა შეძენის შემდეგ ლამის პურის ფულის გარეშე ვრჩები. ჩემი დაკვირვებით, ხალხის მოსაჩვენებლად გამოცხადებულ ფასდაკლების დღეებში აფთიაქები პრეპარატებს ძველი ფასებით ყიდიან, დანარჩენ დღეებში კი მომატებულ ფასში. გამოდის, რომ გამოცხადებული ფასდაკლებები, რომლითაც ასერიგად ამაყობენ ფარმაცევტული კომპანიები, უბრალოდ მტკნარი სიცრუეა და მეტი არაფერი.

— სრულ სიმართლეს ღაღადებთ, — დასტური მისცა მსუქანას მის უკან მდგომმა ჩაფსკვნილმა მამაკაცმა. მართალია, ფასდაკლების დღეებში წამლები შედარებით იაფი ღირს, მაგრამ დანარჩენ დღეებში იმდენად ძვირია, რომ იმ ორი დღის შეღავათს მთლიანად ფარავს. ეგეც არ იყოს, პაციენტს ზოგი მედიკამენტი სასწრაფოდ სჭირდება და ფასდაკლების დღეებს ხომ ვერ დაელოდება?

ვერაფერს იტყვი, მძიმე სურათია. მომხმარებელი წუხს, რომ ის მედიკამენტებიც კი, რომლებიც ხელისუფლებაში კოალიციური მთავრობის მოსვლის შემდეგ როგორღაც გაიაფდა, სულ მალე ისევ გაძვირდა. ამიტომ მოსახლეობის უკმაყოფილება თანდათან იზრდება, როგორც ისინი აცხადებენ, თითქმის ყველა აფთიაქში მორიგი ვიზიტისას მედიკამენტებზე გაზრდილი ფასები ხვდებათ. ეს ეხება წამლების დაბალი ფასებით გამორჩეულ „ფარმადეპოებსაც“, რომელიც ფასების ზრდის ქართულ ეპიდემიას ვერც თავად გადაურჩა. პირიქით, ზოგი მედიკამენტი „ფარმადეპოს“ ქსელში უფრო ძვირიც კი ღირს, ვიდრე სხვა ფარმაცევტულ ობიექტებში.

იქნებ ვინმემ აგვიხსნას, ფარმაცევტულ ბაზარზე ასეთი ვაიუშველებელი რა ხდება? არაფერიც არ ხდებაო, გულს გვიმშვიდებენ თავად ფარმაცევტული კომპანიების თავკაცები, ზოგს შეიძლება ეჩვენება, თორემ აფთიაქებში ფასები სულ უფრო იკლებს და ეს ტენდენცია მომავალში უალტერნატივოდ გაგრძელდებაო?!.

ასე ფიქრობენ ფარმაცევტულ კომპანიათა მესვეურები და მე პირადად ამაში ულოგიკობას ვერ ვამჩნევ. **რა თქმა უნდა, იმათთვის, ვინც თავის დროზე ნაცების ხელისუფლებასთან იყო ჩახუტებული და არც ამჟამად კოალიციურ მთავრობასთან გრძნობს თავს დაჩაგრულად, არაფერიც არ შეცვლილა, სამკურნალწამლო ბიზნესში ადრეც მონოპოლისტები აწესებდნენ ფასებს და ახლაც, ჩვენ გვაბოლებენ კონკურენტები ვართო, თორემ სინამდვილეში ერთმანეთს ფასების მომატებაში ეჯიბრებიან.**

ზემოთაც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, დედაქალაქის ფარმაცევტულ ბაზარზე ამ ხუთიოდე წლის წინათ „ფარმადეპოს“ სახელით შემოსულმა აფთიაქმა წამლების 25-30 პროცენტის ფასდაკლებით გაყიდვა რომ დაიწყო, ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. იმხანად ვინც კი ფინანსურ ხელმოკლეობას განიცდიდა (ასეთი კი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტია), ყველა იმ აფთიაქს მიაწყდა. მაგრამ განვლო ცოტა დრომ და „ფარმადეპოს“ გვერდით სოკოებივით იბარტყეს „ფარმაცენტრებმა“, რომლებმაც ვითომ კონკურენციის მოტივით, წამალზე ფასები დროებით დასწიეს.

როგორი კონკურენტებიც არიან ისინი, ვაჟა-ფშაველას 6 ნომერში ერთმანეთის გვერდიგვერდ მომუშავე „ფარმადეპოსა“ და „ფარმაცენტრის“ მოღვაწეობიდანაც ჩანს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ კონკურენციას გარიგება ამჯობინეს და დეზერტირის ბაზარში მოვაჭრე გადამყიდველებივით, ფასებზე წინასწარ შეთანხმდნენ. მათ მიემატნენ სადაზღვევო კომპანიები და ფარმაცევტულ ბაზარზე როგორც მოეპრიანებათ და რაც მოეპრიანებათ, იმას აკეთებენ.

სადაზღვევო საქმიანობას აემგზავრა სხვა უარესი სენიც — კომერციალიზაცია, რომელიც აღვირახსნილად შეიჭრა სადაზღვევო მედიცინაში. ამაზე უკვე ღიად საუბრობს პროფესორი არჩილ ხომასურიძე, რომელიც აცხადებს, რომ „ზოგიერთი მისი კოლეგა პაციენტს უნიშნავს წამალს, რომელც მას არ სჭირდება“ **(ეტყობა, მოქრთამულია ფარმაცევტული კომპანიის მიერ). მეტიც, მაგალითად, ქალს უკეთებენ ოპერაციას, რომელიც მას არ სჭირდება (ჩვენ სფეროს ვგულისხმობ). კომერციალიზაციის გამოვლინებაა ჰიპერდიაგნოსტიკა, ანუ არ სჭირდება ამდენი ანალიზი, გამოკვლევა და მაინც აიძულებენ“...**

ამ ყველაფრის შემდეგ ბუნებრივად ჩნდება ეჭვი — ეს ვაიუბედურება კარტერული გარიგებებით ხომ არ არის ნაკარნახევი. ანუ ხომ არ არსებობს ფარმაცევტულ კომპანიებს შორის წამლებზე მაღალი ფასის დასაწესებლად წინასწარი შეთახმებები? და თუ არსებობს, რას უყურებს ხელისუფლება, ნუთუ არ გააჩნია ასეთი პროცესების გაკონტროლების მექანიზმი?

განვითარებული ქვეყნების ხელისუფალნი ასეთ მექანიზმად იყენებენ კომპანიებს შორის ჯანსაღ კონკურენციას, რასაც ახალმა მთავრობამ (ნაცებზე აღარ ვლაპარაკობ) დაპირების მიუხედავად, დღემდე ვერ მიაღწია. **საქართველოში წელიწადნახევარი დასჭირდა კონკურენციის შესახებ კანონის მიღებას. ახლა გვაქვს კანონი და კონკურენციის საგენტოც, მაგრამ მის ამუშავებას საშველი ვერ დაადგა იმ „უბრალო მიზეზის“ გამო, რომ არ არსებობს ნორმატიული ბაზა, რის საფუძველზეც ამა თუ იმ კომპანიის მონოპოლიურობას და ცალკეულ კომპანიათა შორის კარტერულ გარიგებათა ფაქტებს გამოავლენენ.**

აქაც ჩნდება ეჭვი, ხომ არ აჭიანურებენ ნორმატიული ბაზის შესახებ კანონის მიღებას იმ ბიზნესის მეპატრონეები, რომელნიც დღესაც პარლამენტში არიან მოკალათებულნი? რა თქმა უნდა, სულაც არ არის გამორიცხული, ის ბიზნესელიტა, რომელიც წინა ხელისუფლებასთან სიამტკბილურად იყო ჩახუტებული, ახლაც აგრძელებდეს არსებული პრივილეგიით ტკბობას. ეს რეალობაა და მას „ოცნების“ ხელისუფლებამ დროა, თვალი გაუსწოროს.

ოთარ ხუციშვილი

◎ კრიმინალი

დააპატიმრეს მერიის „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი

— **ფინანსთა** სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი დავით ჭედია მისცა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დავით ჭედია 2011 წლიდან მუშაობს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის თანამდებობაზე და წარმოადგენს საჯარო მოხელეს. მის უფლება-მოვალეობას წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის (ქალაქ თბილისი) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების, განკარგვის და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი მომზადებული პროექტების ქალაქ თბილისის მთავრობის სხდომაზე გატანა.

2013 წლის 17 ივლისს, ქალაქ თბილისის მერიამ მიმართა შპს „გუდაური სქი რესორტს“, და საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მოითხოვა 193 500 (ასოთხმოცდაცამეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა.

— აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდა გიორგი ღონიაშვილისათვის, რომელმაც შპს „გუდაური სქი რესორტის„ ფაქტიურ მფლობელს, გიორგი კაპანაძეს შესთავაზა 50 000 ლარის სანაცვლოდ, ქ.თბილისის მერიის მაღალჩინოსნებთან საკუთარი კონტაქტების გამოყენებით, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

გიორგი კაპანაძისგან თანხმობის მიღების შემდეგ, გიორგი ღონიაშვილი დაუკავშირდა თავის ნაცნობს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსს დავით ჭედიას, რომელსაც სთხოვა დარიცხული პირგასამტეხლოს მოხსნა და ამასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მთავრობის სხდომაზე საკითხის გატანა.

დავით ჭედია მოქმედებდა რა გიორგი ღონიაშვილის ინტერესების სასარგებლოდ, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურის თანამშრომლებს მოამზადებინა შპს „გუდაური სქი რესორტ“-ისთვის პირგასამტეხლოს მოხსნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროექტი და დაავალა საკითხის ქ.თბილისის მთავრობის სხდომაზე გატანა.

2014 წლის 25 აპრილს ქ. თბილსის მთავრობამ, დავით ჭედიას დავალებით მომზადებული საკითხის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება შპს „გუდაური სქი რესორტ“-თვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ, რითაც არსებითად დაირღვა საჯარო ინტერესი. საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, — აღნიშნულია განცხადებაში.

ინტერპრესი

◎ ზაფხული

რატომ ვერ მიიღებს კერძო სექტორის ნაწილი დამსვენებელს

ანაკლიაში ტურისტული სეზონი, რასაც წლის განმავლობაში სარგოს მიღების იმედით ელოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა და სასტუმროს მფლობელები, უკვე დაიწყო. იმ ფონზე, როცა აქ განთავსებულ სამივე სასტუმროში აცხადებენ, რომ 80-90%-იანი დატვირთვით მუშაობენ, აგვისტოსთვის კი ყველა ნომერი დაჯავშნულია, კერძო სექტორი დამსვენებელთა სიმცირეს უჩივის.

ანაკლიაში, სადაც ხელისუფლება, დაგეგმილი მუსიკალური ფესტივალის — „კაზანტიპის“ — გამო, დამსვენებელთა განსაკუთრებით დიდ ნაკადს ელოდება, მოსახლეობის ნაწილი მოუმზადებელი ხვდება. რიგი პრობლემების გამო ისინი წელს ტურისტებს ვერ მიიღებენ.

ამ მომენტში ტურისტები ცოტანი არიან. რომ მოვლენ, იმაზე არ არის საუბარი. რაც შეეხება ფასებს, 20 დოლარიდან იწყება, 50 დოლარიც არის, გააჩნია პირობებს. აი, ფესტივალი რომ ტარდება, მაგის გამო მოიმატა ფასებმა...

...სანაპიროსთან ახლოს, სასტუმრო „ანაკლიასთან“ მცხოვრები 20-მდე ოჯახი მცირე წვიმის დროსაც იტბორება. ანაკლიის ცენტრში მცხოვრები თორნიკე ბუბუტეიშვილი და ლალი ქვარცხავა ჰყვებიან, რომ მიზეზი სასტუმროს მშენებლობისას დაშვებული შეცდომებია. მათ აქვთ რამდენიმე სხვა მიზეზიც, თუ რატომ ვერ მიიღებენ წელს ტურისტებს.

„ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ თავის დროზე არასწორად შეირჩა სასტუმროს ადგილი და მთლიანად ინფრასტრუქტურისთვის ტერიტორია. მეტრ-ნახევრით დაბლა ჩაგვსვეს ჩვენ და უბრალო წვიმის დროსაც ვიტბორებით. იყვნენ აქ ტურისტები პოლონეთიდან, ლიტვიდან, მაგრამ ზუსტად მაშინ გაწვიმდა და წყალი რომ დაინახეს, აქ არც ერთმა არ ისურვა გაჩერება“, — გვითხრა თორნიკე ბუბუტეიშვილმა.

„როგორ შემოვა აქ ტურისტი, ისეთი შმორის სუნი და ანტისანიტარიაა. წუნობენ, უი რა სუნიაო, და გარბიან“, — ამბობს ლალი ქვარცხავა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში აცხადებენ, რომ მუშაობენ პროექტზე, რომელიც ანაკლიაში სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულებისას დაზიანებული წყლის კოლექტორის შეკეთებას და სანიაღვრე არხების მოწყობას გულისხმობს.

„ჩვენ იქ ერთჯერადი კომპენსაციები გავეცით. თავისთავად ცხადია, რომ ეს არ არის საკმარისი. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მივმართეთ და ის გამოყოფს მარტო პროექტისთვის 50 ათას ლარს. ეს თანხა დაპროექტებას სჭირდება, ჩვენი გაანგარიშებით, სამუშაოების ჩატარება ნახევარი მილიონი ლარი დაჯდება. აქ არ არის საუბარი რამდენიმე ოჯახზე. ეს ეხება მთლიანად იმ უბანს“, — განუცხადა რადიო „თავისუფლებას“ ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი თოდუამ.

წვიმის შედეგად დატბორილი ტერიტორიის მოპირდაპირედ მცხოვრებ მიტო შელიას ეს პრობლემა არ აწუხებს. შესაბამისად, მან უკვე მიიღო დამსვენებლები, თუმცა, ამბობს, რომ, გასულ წელთან შედარებით, მათი რაოდენობა დიდად არ გაზრდილა: **მიტოს და იმ ადამიანებს, ვინც ფესტივალში საფრთხეს ხედავს თუნდაც იმ მხრივ, რომ, შესაძლოა, ნარკოტიკებიც გავრცელდეს, ამშვიდებს ე.წ. რესპუბლიკა „კაზანტიპის“ პრეზიდენტი ნიკიტა მარშუნოკი. მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ფესტივალის ორგანიზატორები ანაკლიაში არ დაუშვებენ ისეთ რამეს, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია.**

სწორედ მუსიკალური ფესტივალის გამოა ანაკლიაში განთავსებული სამივე სასტუმრო აგვისტოსთვის მთლიანად დაჯავშნული. როგორც სასტუმროების ხელმძღვანელები აცხადებენ, დამსვენებლებს შორის ჭარბობენ უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, პოლონეთისა და ლიტვის მოქალაქეები.

ანაკლიაის სასტუმროებში აცხადებენ, რომ ერთი ღამის საფასური ერთ პერსონაზე 100 ლარიდან 400 ლარამდე მერყეობს, პირობების მიხედვით.

„კაზანტიპის“ მუსიკალურ ფესტივალს წელს ახალი სახელი — „რეალობის ალტერნატიული რეალობა“ ერქმევა. ანაკლიაში ის 20-დან 30 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება. ორგანიზატორები წელს ანაკლიაში 35 ათასამდე სტუმარს ელოდებიან.

თამარ ზანთარაია,
რადიო „თავისუფლება“

◎ დასვენება

უკრაინელების გადმობირებაში საქართველო დაწინაურდა

უკრაინული „ფორბსის“ მონაცემებით, 2014 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით, საქართველოში 50 000—მდე უკრაინელი ტურისტი შემოვიდა, რაც 27 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, რადგან ჯერჯერობით საზღვაო სეზონი რეალურად არ დაწყებულა და ანაკლიური „კაზანტიპიც“ წინ არის. საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია ბოლომდე არის გადართული უკრაინელი ვიზიტორების გადმოსაბირებლად.

„ჩვენ უკრაინაში დავიწყეთ ძალიან მასშტაბური სარეკლამო კამპანია. მოველაპარაკეთ ავიაკომპანიებს და ამჟამად უპრეცედენტოდ ბევრი ავიაკომპანია დაფრინავს უკრაინიდან საქართველოში. უკრაინის სხვადასხვა ქალაქიდან ბათუმის, ქუთაისის და თბილისის მიმართულებით სრულდება საერთაშორისო რეისები. რასაკვირველია, ყირიმის მოვლენებმა ამაზე იქონია გავლენა“, — აცხადებს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა.

უკრაინის დასაქმებულ მოქალექეებს შორის, რომლებიც ზაფხულის შვებულების გატარებას უცხოეთში აპირებენ, საკმაოდ დიდი ნაწილი (18%) დასვენებას, თურქეთთან ერთად, საქართველოში გეგმავს. თუმცა, გამოკითხულთა 41% აცხადებს, რომ არც ივლისში და არც აგვისტოში დასვენებას არ გეგმავს. იმ დასაქმებულთა ხვედრითი წილი კი, რომლებიც ყირიმში დასვენებას გეგმავენ, გასული წლის 24%-დან წელს 4%-მდე შემცირდა.

გამოკითხულთა 42% უცხოეთში გამგზავრებას გეგმავს, ამასთან, 18% აცხადებს, რომ აპირებს საქართველოსა და თურქეთში ჩასვლას. 16% ბულგარეთში დასვენებას გეგმავს, 11% კი — ესპანეთში, ჩერნიგორიაში ან ხორვატიაში.

გამოკითხვა ინტერნეტ პორტალმა hh.ua-მ ჩაატარა, რომლის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ შარშან უკრაინელები უპირატესობას ბულგარეთს ანიჭებდნენ, წელს კი ეს ქვეყანა საქართველოთი ჩაანაცვლეს.

რამდენიმე კვირის წინათ კი გამოცემა „კაპიტალი“ წერდა, რომ უკრაინელებისთვის ყველაზე სასურველი ტურისტული ცენტრების სამეულში წელს უკრაინისა და ბულგარეთის შემდეგ საქართველოც მოხვდა. შარშან კი დასახელებული კვლევის თანახმად, საქართველო ათეულშიც კი არ შედიოდა.

რასაკვირველია, უკრაინის ტურისტულ ბაზარზე ცვლილებები ყირიმის ოკუპაციის შემდეგ დაიწყო, რომელიც 4 მილიონი უკრაინელისთვის ზაფხულის არდადეგების გატარების ადგილი იყო. გადაწყვეტილად შეიძლება ითქვას, რომ მათი 70-80% წლეულს ყირიმში ჩასვლას ვერ გაბედავს. თუკი ისინი სიიაფისა და ხელმისაწვდომობის მიხედვით დაიწყებენ დასასვენებელი ადგილის შერჩევას, მაშინ საქართველოს კურორტებს უპირატესობა ნამდვილად აქვს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარასა და გურია-სამეგრელოში სასტუმრო ადგილების უკმარისობის გამო, მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ვიზიტორების მიღებაა შესაძლებელი.

როგორც საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციაში აცხადებენ, წელს განსაკუთრებულ აქცენტს სწორედ უკრაინიდან ახალი დამსვენებლების მოზიდვაზე გააკეთებენ, რასაც ყირიმის ტურისტული სეზონის ჩავარდნით გეგმავენ.

„საქართველოში ჩატარდება არაერთი ფესტივალი. რამდენიმე დღეში თბილისში ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „თბილისი სამერსეტი“ დაიწყება, ბათუმის ჯაზფესტივალი კი ივლისის ბოლოს გაიმართება. 15 აგვისტოს ბათუმში ჩატარდება სამდღიანი სიმღერის ფესტივალი, სადაც ევროპელი შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას, ანაკლიაში 20-დან 30 აგვისტომდე იქნება ძალიან დიდი და საინტერესო პროექტი, თუმცა, ზუსტად არაა ბოლომდე ჩამოყალიბებული როგორი ფორმატით იქნება და კიდევ რა შემსრულებლები დაემატებიან. ორგანიზატორებმა უკვე წარმოადგინეს ძალიან სერიოზული პროგრამა. იქ არის დაახლოებით 100 მსოფლიო დონის დიჯეი და შემსრულებელი.

მოსახლეობა კი იქ ინტენსიურად არემონტებს სახლებს, სრული მზადყოფნაა ფესტივალისთვის. მინდა გითხრათ, რომ მოთხოვნა გაცილებით მეტია, ვიდრე ტურისტების დაკმაყოფილების საშუალებები, მაგრამ ადამიანებმა მოწადინებულნი არიან, რომ რაც შეიძლება მეტი ობიექტი ააშენონ, გაარემონტონ, შეაკეთონ, დახვდნენ და მიიღონ სტუმრები. ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ სამეგრელო, შავი ზღვისპირა რეგიონი გახდეს ახალგაზრდული ტურიზმის ცენტრი და „კაზანტიპი“, ალბათ, იქნება სერიოზული ნიშანი იმისა, რომ აქ შემოვიდეს ბევრი ინვესტიცია“, — აცხადებს გიორგი სიგუა.

ბექა დანელია

◎ პროკურატურა

თბილისში მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის სპეციალისტების ჯგუფი ჩამოვიდა

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, მოწვეული სტუმრები არიან ყოფილი პროკურორები, რომლებსაც წარსულში ეკავათ მაღალი თანამდებობები საკუთარი ქვეყნების სამართლადამცავ ორგანოებში, უძღვებოდნენ ყოფილი სახელმწიფო მოხელეების გახმაურებულ საქმეებს, ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო ტრიბუნალების საქმიანობაში.

მთავარი პროკურატურა გეგმავს, რომ მოწვეული სპეციალისტებისგან დააკომპლექტოს კონსულტანტთა ჯგუფი, რათა მაქსიმალურად გაზიარებული და გათვალისწინებულ იქნეს რეკომენდაციები.

მოწვეული სპეციალისტების ჯგუფს წარმოადგენენ: სერ ჯეფრი ნაისი, მოშე ლადორი და პოლ კაფი.

სერ ჯეფრი ნაისი — 1998-2006 წლებში იყო იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პროკურორის მოადგილე და პირადად უძღვებოდა სერბეთის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის საქმეს. ამჟამად ის პერიოდულად მუშაობს მოსამართლედ და ლონდონის გრეშამის კოლეჯის სამართლის პროფესორია;

მოშე ლადორი — 2013 წლის ბოლომდე იკავებდა ისრაელის სახელმწიფო პროკურორის თანამდებობას. თანამდებობაზე ყოფნისას ის ზედამხედველობდა არაერთი პოლიტიკოსის წინააღმდეგ აღძრულ და გამოძიებულ საქმეებს, რომელთა შორისაც იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის საქმეც. ამ თანამდებობის დაკავებამდე მოშე ლადორი იყო იერუსალიმის მთავარი პროკურორი;

პოლ კაფი — ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი დირექტორი. საჯარო სამსახურიდან წასვლის შემდეგ, ის გაეროს მისიით იმყოფებოდა კოსოვოში. პოლ კაფი აქტიურად მონაწილეობდა კოსოვოს იუსტიციის სისტემის რეფორმაში, ასევე ზედამხედველობდა გაეროს მიერ კოსოვოში წარმოებულ ყველა საქმეს, მათ შორის, ომის დანაშაულებათა გამოძიებას.

უმაღლეს კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმთან ერთად, მოწვეული ექსპერტები სარგებლობენ მაღალი რეპუტაციითა და აღიარებით პროფესიულ წრეებში, როგორც მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი პროფესიონალები.

სამუშაო პროცესში მოწვეული სპეციალისტების ჩართულობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართველი პროკურორების პროფესიულ წინსვლას, თვით პროკურატურის ორგანიზაციულ და სისტემურ ოპტიმიზაცია-განვითარებას, ასევე სხვა ქვეყნების პროკურატურებთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას.

უცხოელმა სპეციალისტებმა მთავარი პროკურატურის თანამშრომლებს უნდა გაუზიარონ ცოდნა და საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ამ სფეროში ათწლეულების განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, მათ შორის, გამოძიების წარმოების, საპროკურორო ზედამხედველობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოელი სპეციალისტების საქმიანობა საქართველოში ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ გავლენას მოახდენს ზოგადად, სამართალწარმოების პროცესზე.

ინტერპრესი

◎ ტრაგიკული ქრონიკა

როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი

საქართველოს უახლეს ისტორიას წითელ ზოლად გასდევს ჩვენი ქვეყნის უშუალო და ერთმორწმუნე მეზობელთან – რუსეთთან უაღრესად გართულებული ურთიერთობები. ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ამას რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა ექსპანსიონისტური, აგრესიული ბუნებით ხსნის, მეორე ნაწილის აზრით კი ამის მიზეზი ქართველ პოლიტიკოსთა უხეში შეცდომებია.

უნდა ითქვას, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში გამოკვეთილია ამ რთული და მრავალასპექტიანი მოვლენის ცალმხრივი ახსნის მცდელობა, რაც ავიწროებს მისი წარმომშობი მიზეზების კვლევა-ძიების ფარგლებს, შეუძლებელს ხდის მის სრულფასოვან და სრულყოფილ ანალიზს.

1990 წლის 4 ნოემბერს, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ერონული ძალების მოსვლიდან სულ რაღაც ერთ კვირაში, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი მოსკოვში ჩავიდა. მიხეილ გორბაჩოვმა მას მიუკიბ-მოუკიბავად უთხრა: თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკის გაყვანას შეეცდება, უნდა იცოდეთ, რომ სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა რეგიონებშიო.

ამ აშკარა მუქარიდან სათანადო დასკვნები არ გაკეთებულა. მაშინ საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებაში ძალზე ძლიერი იყო კომუნისტურ რეჟიმზე გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია. გამსახურდიას და მის გუნდს ღრმად სწამდა, რომ ყველა სიძნელეს ადვილად დაძლევდნენ.

რახან სიტყვიერმა გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო, კრემლი საქმეზე გადავიდა: უკვე 1990 წლის 9 დეკემბერს, მოსკოვის კარნახით და წაქეზებით, ოსმა სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ სეპარატისტთა ამ დემარშს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებით უპასუხა. ცხინვალში ქართული მილიციის შენაერთები შევიდნენ. დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება ქართველებსა და ოს სეპარატისტებს შორის. ცხინვალში მომხდარი სისხლისღვრით დასაბამი მიეცა საქართველოს დაშლის შორსგამიზნული რუსული გეგმის პრაქტიკულ რეალიზაციას.

1991 წლის 31 მარტს საყოველთაო რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობას. იმავე წლის 9 აპრილს საქართველომ, ბალტიის რესპუბლიკების შემდეგ პირველმა, განაცხადა სსრკ-დან გასვლისა და დამოუკიდებლობის შესახებ. 8 დეკემბერს რუსეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ და ყაზახეთმა ბელოვეჟში სსრკ-ს დაშლა დაადასტურეს. ხელი მოწერა შეთანხმებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანების შესახებ. მასში შესვლაზე ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან უარი განაცხადეს მხოლოდ საქართველომ და ბალტიის ქვეყანებმა.

რესპუბლიკის მაშინდელ მესვეურთა ამ ნაბიჯს ქართველი საზოგადოებრივი აზრი დადებითად აფასებს. საბჭოთა იმპერიით დაშინებულები ჩვენ რუსეთთან ყოველგვარ კავშირს გავურბივართ. ისე მოგვდის, როგორც ერთ ქართულ ანდაზაშია: რძით დამწვარი დოს უბერავდაო. არადა, დსთ-ში რუსეთი სრულიად მოკლებულია მასში შემავალ სახელმწიფოებზე ზეწოლის იმ ბერკეტებს, რომლებიც მას სსრკ-ში მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ ჰქონდა. საკმარისია ითქვას, რომ რუსეთმა დსთ-ს ქვეყნებს მის მიერ აღიარებული ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებაც კი ვერ დააძალა და საქმე ვანუტუსა თუ ვენესუელას სახვეწად გაუხდა. ცხადია, ზესახელმწიფოებრივ გაერთიანებაში შესვლა მასში მყოფი სახელმწიფოების მხრივ ყოველთვის გულისხმობს სუვერენიტეტის რაღაც ნაწილის დათმობას. მაგრამ ასეთ დროს სასწორზე იდება ამ გაერთიანებაში ყოფნით მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგები და გადაწყვეტილება ამის საფუძველზე მიიღება. დსთ-ში შესვლას კი ჩვენ პოლიტიკური მიზანშეწონილობა – ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება გვიკარნახებდა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის აქტიურობას საქართველოში შიგა კონფლიქტების გაღვივების თვალსაზრისით, ჩვენი მხრივ გადადგმული ასეთი ნაბიჯი მოტივაციას თუ ბოლომდე არ დაუკარგავდა, მნიშვნელოვანწილად ნამდვილად შეუმცირებდა.

> „რუსეთის ტრაგედია ის არის, რომ პუტინს და მის გარემოცვას ბევრად უფრო სძულთ დასავლეთი, ვიდრე უყვართ რუსეთი. ამიტომ არის, რომ ყოველდღიურად ღალატობენ რუსეთს საბჭოთა კავშირის ცხედართან“.
>
> **ანდრეი პიანტოვსკი, რუსი პოლიტოლოგი.**

> „ბედნიერი ვარ – ჩემი ერი იმდენად მცირერიცხოვანია, რომ დიდი სისულელეების ჩადენა არ ძალუძს.“
>
> **ჰენდრიკ ლორენცი, ჰოლანდიელი ფიზიკოსი.**

ერთი ისტორიული პარალელი: 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შანსი გაუჩნდა. ომით და რევოლუციით დაუძლურებულ რუსეთს იმპერიის მთლიანობაზე ზრუნვის თავი აღარ ჰქონდა. თუმცა, მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი შეუძლებელი იყო საომარი ოპერაციების განვითარების მეტ-ნაკლებად ზუსტი

პროგნოზირება. შესაბამისად, შეუძლებელი იყო საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და საიმედო მოკავშირის პოვნა. კავკასიის რეგიონში დამკვიდრებისთვის მაშინ რუსეთის გარდა, იბრძოდა თურქეთიც. ირანი ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის პრობლემების შექმნა მასაც შეეძლო. მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნები რუსეთსა და თურქეთს შორის კავკასიისთვის დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტად ვერ გამოდგებოდნენ. პირიქით, ანტანტის სახელმწიფოები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სცნობდნენ მთლიან და განუყოფელ რუსეთს, იმპერიაში შემავალ ცალკეულ ერებს კი რუსეთის ნაწილებად განიხილავდნენ. მეორე მხრივ, ამ წონასწორობის დარღვევის არც ერთი ვარიანტი საქართველოს ხელს არ აძლევდა. რუსეთის წასვლა ამიერკავკასიიდან აქ თურქეთის უცილობელ გაბატონებას მოასწავებდა, თურქეთის პოზიციების შესუსტება კი რუსეთს გაუხსნიდა ხელ-ფეხს აქტიური მოქმედებებისთვის.

ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი პოლიტიკოსები რადიკალური პოლიტიკური კურსის დაფიქსირებას ერიდებოდნენ, რათა სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში მისი კორექტირების საშუალება ჰქონოდათ.

და მაინც, საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ (1917 წ. 19-24 ნოემბერი) სრულიად მკაფიოდ განსაზღვრა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. ყრილობამ დაადასტურა, რომ ქართულმა დემოკრატიამ „დღიდან თავისი არსებობისა, თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას ...“ ამასთან, მთავარმა მომხსენებელმა – ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ „თუ რუსეთში ვერ მოხერხდა ახლო მომავალში დამფუძნებელი კრების მოწვევა, ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვაწყოთ ადგილობრივი დამფუძნებელი კრება და ჩვენს თავს მივცეთ კონსტიტუცია ... უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მიენიჭოს სრული შინაური თვითმმართველობა...“

ნოე ჟორდანიას მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია. ბოლშევიკ ფილიპე მახარაძის გარდა, მას ყველა პარტიის წარმომადგენელი შეუერთდა. სოციალ-ფედერალისტების სახელით ყრილობაზე გამოსულმა გ. რცხილაძემ მოიწონა ჟორდანიას მიერ წამოყენებული ეროვნულ ძალთა საერთო ნიადაგზე დგომის იდეა. სოციალისტ-რევოლუციონერმა გ. ნათაძემ აღნიშნა, რომ მისი პარტია საჭიროდ არ მიიჩნევს მოხსენებისთვის რაიმეს დამატებას და მთლიანად იწონებს მასში ჩამოყალიბებულ დებულებებს. ჟორდანიას სიტყვა გვაერთიანებს ყველას. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორის არ არსებობს უთანხმოება, მაგრამ ამჟამად სავსებით ვეთანხმებით მოხსენებას და არ გამოვდივართ სეპარატისტული განცხადებითო, – აღნიშნა ეროვნულ-დემოკრატმა გ. გვაზავამ.

რატომ არ აყენებდნენ ქართული ეროვნული პარტიები ქვეყნის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნას?

ქართველი პოლიტიკოსები ამ კითხვას სავსებით კონკრეტულად უპასუხებდნენ: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში თურქეთი მიიტაცებს ქართულ მიწებს. ამიტომ გარკვეული დროით ჩვენ უნდა შევურიგდეთ სუვერენიტეტის შეზღუდვას და ამ გზით შევინარჩუნოთ ტერიტორიული მთლიანობა. ხელსაყრელ დროს სუვერენიტეტის აღდგენას ჩვენ კიდევ შევძლებთ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება კი ძალზე პრობლემური იქნება.

ქართველ პოლიტიკოსთა ასეთი პოზიცია მათ წინდახედულობაზე მეტყველებს. ისინი ქართულ საქმეს ისე აკეთებდნენ, რომ მთელი რუსული პოლიტიკური სპექტრის თუ არა, მისი დიდი ნაწილის კეთილგანწყობას ინარჩუნებდნენ. დამახასიათებელია, ამ მხრივ, 1917 წლის სექტემბერში პეტროგრადში გამართული რუსეთის დემოკრატიული ძალების თათბირზე ქართველ მხედართა კავშირის სახელით გამოსული ვ. მაჩაბლის სიტყვა: **„თუ ჩვენ, ქართველებმა, დღემდე არავითარი ეროვნული მოთხოვნა არ წარვუდგინეთ რუსეთის დემოკრატიულ მთავრობას, ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეროვნული თვითშეგნება არა გვაქვს, ან კიდევ ძალა არ შეგვწევს განვახორციელოთ ჩვენი ეროვნული იდეალი, არა – ჩვენ ერთიც გვაქვს და მეორეც. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ დროს, როცა სახელმწიფო და რევოლუცია ასეთ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება, არ შეიძლება გავართულოთ ისედაც უკვე გართულებული საერთო საქმე.“**

ქართველი პოლიტიკოსის ამ სიტყვების შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ოვაცია გაუმართა ორატორს.

სამწუხაროდ, ასეთივე მაღალი პოლიტიკური ინტელექტი, დიპლომატიური მოქნილობა და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინეს მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების ქართველმა პოლიტიკოსებმა. საბჭოთა იმპერიის ნგრევის ეტაპზე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში იმძლავრა რადიკალიზმმა, ერთგვარმა მამლაყინწობამ, რაც პოლიტიკური ინტელექტისა და გამოცდილების არქონის შედეგი გახლდათ. ეს ლოგიკურიც იყო: მე-20 საუკუნის ქართველ პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს კლასიკური საუნივერსიტეტო განათლება ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული, მაშინ, როდესაც ეროვნული იდეით შეპყრობილ 80-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ ელიტას, სკოლის მერხიდანვე დისიდენტურ მოძრაობაში ყოფნის გამო, ნორმალური საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა.

უჩა ბლუაშვილი

(გაგრძელება იძნება)

დედამიწის ზურგზე

თელ-ავივის მიმართულებით მორიგმა სროლებმა გაანადგურა შანსები ისრაელსა და „ჰამასს“ შორის მალე მოწესრიგებაზე

ზავი ღაზის სექტორში, რომელიც, ზოგიერთი მონაცემებით, უნდა დაწყებულიყო დილის 10 საათზე ადგილობრივი დროით, არ შედგა. უკვე იმ მომენტის შემდეგ, როდესაც შერიგება უნდა დაწყებულიყო, თელ-ავივში გაისმა სირენების ხმა, ქალაქის რაიონში კი ჩამოვარდა ორი რაკეტა. ამის შემდეგ ისრაელმა ოფიციალურად უარყო თხოვნა ღაზის სექტორში ცეცხლის ჰუმანიტარული შეწყვეტის შესახებ.

„ჰუმან რაითს უოტჩმა“ უსაყვედურა პოროშენკოს დევნილებისათვის არასაკმარისი ზრუნვის გამო

გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს მონაცემებით, მარტის დასაწყისიდან უკრაინის შიგნით გადაადგილებულ პირთა სტატუსში 87,5 ათასი კაცი აღმოჩნდა, მათ შორის, 13 ათასი ყირიმის ყოფილი მცხოვრებლები არიან. მათი რეალური ოდენობა შეიძლება უფრო მეტიცაა, ამ დროს მათ, უდიდესი უმრავლესობა განიცდის საცხოვრებლის პრობლემას, სოციალურ გარანტიებსა და გადახდებს.

კიევში დარწმუნებული არიან, რომ ბოინგის ავარიის ადგილზე მალულად რუსი ექსპერტები მუშაობდნენ

როგორც უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე გენადი ზუბკო ამტკიცებს, სწორედ ამიტომ სეპარატისტებმა უმალვე არ დაუშვეს ექსპერტები თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე. მისი სიტყვებით, კიევს აქვს იმის დადასტურებანი, რომ კატასტროფის რაიონში რუსი სპეციალისტები იმყოფებოდნენ.

საფრანგეთი მიაწოდებს რუსეთს პირველ შვეულმზიდ „მისტრალს“ ვადაზე, განაცხადა პრეზიდენტმა ოლანდმა

მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საუბარი ამ ხომალდის მიწოდების ჩაშლის შესახებ არ შეიძლება რომ იყოს: „რუსეთმა გადაიხადა“, კონტრაქტის დაცვა მეორე „მისტრალის“ მიწოდების შესახებ დამოკიდებული იქნება მოსკოვის პოზიციაზე უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით“. მაგრამ „ამ ეტაპზე არ ყოფილა მიღებული არანაირი გადაწყვეტილება სანქციების შესახებ, რომლებსაც შეეძლოთ ვეიძულებინეთ, უარი გვეთქვა ამაზე.

ყბედ ადამიანებს კიწმარიშვილის საქმეზე არც ერთი კითხვა არ უნდა დარჩეთ!

ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება თვითმკვლელობის მუხლით მიმდინარეობს. საზოგადობის ნაწილს ამ ვერსიის არ სჯერა, ისევე როგორც მისი ოჯახის წევრებს. მმართველ გუნდში კი აცხადებენ, რომ ხელისუფლება თვითმკვლელობის ვერსიაში წელგამართულია.

თუ რას ფიქრობენ ხელისუფლებაში უფრო კონკრეტულად ამ სკანდალურ საქმეზე, ამის გარკვევის მიზნით, for.ge გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი ცაგარეიშვილს ესაუბრა:

— ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს. ოფიციალურ ვერსიას ეთანხმებით?

— იმ ადამიანებს ვერ დავემსგავსები, რომელთაც აბსოლუტურად გადაუმოწმებლად შორსმიმავალი დასკვნები გააკეთეს. მათ არაფრად ჩააგდეს ის, რომ გვამიც არ იყო გაციებული და გარდაცვლილს ოჯახი ჰყავს. ნაციონალებმა „რუსთავი-2“-თან ერთად ჩერგოლეიშვილის „გამოყენებით“ ისტორია შეთხზეს, რომ თითქოს, ეროსი კიწმარიშვილი იმიტომ მოკლეს, რომ შემდეგ ხელისუფლებამ „რუსთავი-2“ -ის განადგურება განიზრახოს. ეს ერთმანეთთან რა კავშირშია, ვერ ვხვდები. ადამიანი მორალურად ასე როგორ უნდა დაეცეს, რომ ეს ტრაგედია ფაქტების გარეშე ხელისუფლებას პირდაპირ დაუკავშიროს. ამ კონტექსტში კალაძის სიტყვებს იყენებენ.

— თამარ ჩერგოლეიშვილმა კალაძის ის განცხადება მოიშველია, სადაც ვიცე-პრემიერი აცხადებს, რომ არჩევნების შემდეგ „რუსთავი-2“ კანონიერ მესაკუთრეს გადაეცემა...

— აღნიშნულ საქმეზე საჩივარი პროკურატურაშია შეტანილი და კალაძემ განსაკუთრებული რა თქვა? მან სურვილი გამოთქვა, რომ წართმეული ქონება მესაკუთრეს უკან დაუბრუნდეს. კალაძე თვლის, რომ სამართლიანობა იმ პირების მიმართაც უნდა აღდგეს, რომელთაც ქონება ჩამოართვეს. „რუსთავი-2“-ის მეპატრონეებთან დაკავშირებით ბევრი რამ ბურუსით არის მოცული და ეს ტელევიზია ვის ეკუთვნის, ეს დღემდე გაურკვეველია. ამბობენ, რომ ეს არის საააკაშვილის ჯიბის ტელევიზია. ეს ტელევიზია „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური რუპორი რომ არის, ამას ბევრი კვლევა-ძიება სჭირდება?! ზოგჯერ, გიორგი გაბუნია ბევრად უფრო შორსმიმავალ პოლიტიკურ დასკვნებს აკეთებს, ვიდრე პარლამენტში დარჩიაშვილი. გაბუნია ჩამოყალიბებულ დემაგოგ პოლიტიკოსად გვევლინება. მის გადაცემას რომ უყურებ, გგონია, ნაციონალების შეკრებებს ესწრებოდა. „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან - ბევრად უფრო აქტიურები, ვიდრე კანდელაკი, ბობოხიძე და წიკლაური. რაც შეეხება გვარამიას, ის ჯოჯოხეთის მოწყობით გვემუქრებოდა, მაგრამ საინტერესოა, „დამოუკიდებელ“ მედიაში სააკაშვილის დაცვამ კამერები რატომ დაამონტაჟა? რატომ უსმენდნენ ჟურნალისტებს, მათ არ ენდობოდნენ? საზღვარი რაღაცას ხომ უნდა ჰქონდეს?! მესმის, რომ ნაციონალებს კლასობრივ მტრად მივაჩნივართ, ისინი გულზე მეც არ მეხატებიან, მაგრამ ადამიანის საზარელი ისტორია დააკავშირო „ქართულ ოცნებას“, „რუსთავი-2“-ის წართმევაზე უხილავი ძაფები გაატარო და ეს ყველაფერი ფოჩიანი კანფეტივით შეფუთო, ამორალური საქციელია. ეს ადამიანები დილიდან საღამომდე სიცრუეს ქადაგებენ და სააკაშვილის ხელისუფლებაში მობრუნებას ემსახურებიან. სად არის ჟურნალისტური ეთიკა და ადამიანობა?!

— ბატონო გიორგი, ბოლო პერიოდში ჩანს, რომ მედიის მიერ გამოთქმული კრიტიკა ხელისუფლებას აღიზიანებს. თქვენ „რუსთავი-2“-სა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის არსებულ თანამშრომლობაზე აპელირებთ, მაგრამ მთავრობას არც ვახო სანაიას გადაცემა ეამა, სადაც მან გაგაკრიტიკათ და პრესკონფერენცია მიუძღვენით. რამდენიმე დღის წინ, ენერგეტიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ელექტროენერგიის გაძვირებაზე ისაუბრა, კახი კალაძემ კი „რუსთავი-2“ გააკრიტიკა და საზოგადოებას მოუწოდა, მათ ნუ ენდობიან. ამ ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკას არ ვიცავ, მაგრამ ამ შემთხვევაში, „რუსთავი-2“ რა შუაში იყო?

— „რუსთავი-2“-ის საქმეებში არავინ ერევა. მათი ბინძური თეთრეულის გამოქექვა ჩვენი საქმე არ არის. 2003 წლის რევოლუციიდან მოყოლებული ეს ტელევიზია „ნაციონალური მოძრაობის“ განაყარია. სითამამე უნდა ეყოთ და თქვან, რომ რუპორი ვართ, ჩვენ ვართ მედია, რომლის მფლობელები ცნობილები არ არიან და დამფუძნებლებს წილები ძალით წაართვეს. ეს ტელევიზია დილიდან-საღამომდე დაკავებულია იმით, რომ პასკვილი გამოაცხოს და აპოკალიფსური სურათი შექმნას. თამაშობენ, რომ ვითომ თავისუფლები არიან. ჩვენც ამას ვიღებთ, თვალს ვხუჭავთ და მათ ეთერებში დავდივართ. აუდიტორია არსებობს და მათ ეთერს ვიყენებთ. ბრმები არ ვართ, რომ არ ვიცოდეთ, რა ხდება ამ მედიაში. ვერ ვიტყვი, რომ თავისუფლები არიან, მაგრამ ჟურნალისტებს პირად შეურაცხყოფას არასოდეს მივაყენებ.

რაც შეეხება ტარიფს, ტარიფი არ იზრდება და განცხადება შეუთანხმებელი იყო, მინისტრის მოადგილის განცხადება კი, ბუნდოვანი. ასევე ბუნდოვანი იყო სემეკი-ს განცხადებაც. მართალია, საქართველოს პარლამენტი დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების მუშაობაში არ ერევა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანო არ დაუშვებს, რომ ჩვენი სააარჩევნო დანაპირები ისე შეიცვალოს, რომ ჩვენ ეს არ ვიცოდეთ. პარლამენტი არ არის მონათა თავშესაყარი და უმრავლესობა არ არის გროვა, რასაც ეტყვიან ის გააკეთოს.

— ეროსი კიწმარიშვილის საქმეს რომ მივუბრუნდეთ. თქვენ ბრძანეთ, რომ კალაძის პოზიციას იზიარებთ, რომ „რუსთავი-2“ კანონიერ მესაკუთრეებს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ მესაკუთრეებში კიწმარიშვილიც მოიაზრებოდა, რადგან როგორც მისი ინტერვიუდან ირკვევა, ის ტელევიზიის დაბრუნებისთვის ბრძოლას გეგმავდა. კერძოდ, მის ერთ-ერთ ინტერვიუში ის აღნიშნავდა, რომ „თუ დვალი და აქიმიძე მართლები არიან, მაშინ მეც მართალი ვარ და, თუ ქიბარია მართალი, მაშინაც მეც მაქვს მოთხოვნის უფლება, მაგრამ ბუნებაში შეუთავსებელია ის, რომ აქიმიძე—დვალიც და ქიბარიც მართლები იყვნენ. დიდი ინტერესით ველოდები, როგორ აპირებენ ამ ორი თემის ერთმანეთში შერწყმას, რადგან ორივე გადაწყვეტილების შემთხვევაში მე „ცოცხალი“ ვრჩები. სასამართლო უჩემოდ ამ თემას ვერ დაამთავრებს“..?

— ამ საქმის დეტალები არ ვიცი. გამომძიებელი არ ვარ და არ ვიცი, ეროსი კიწმარიშვილის საჩივარი თუ არსებობდა, რომ ქიბარ ხალვაშზე წილი იძულებით გადააფორმებინეს. 2008 წელს, როცა პარტიას აფუძნებდა, მას ნათქვამი აქვს, რომ წილი იძულებით გადააფორმებინა სააკაშვილმა. ეს განცხადება პროკურატურისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ მოკვლევა დაწყებულიყო და არ ვიცი, თუ დაიწყო, მაგრამ ჯარჯი აქიმიძესა და სხვებს ქონება წაართვეს, მათთვის კი სანაცვლოდ ერთი თეთრიც არავის გადაუხდიათ.

— ანუ კიწმარიშვილს გადაუხადეს?

— როგორც ხალვაში ამბობს, მან ეს გააკეთა. როგორც ჩანს, ამ ადამიანებთან წილების გადაფორმება მარტივად გადაწყდა. ეროსისთან მოლაპარაკება კი, რთული აღმოჩნდა მისი ფიგურიდან გამომდინარე „ვარდების რევოლუციაში“. ეროსი უდაოდ ნიჭიერი კაცი იყო და ლიდერი თავის საქმეში. „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით, მას ხელწამოკვრით ვერ დაელაპარაკებოდნენ. როგორც ჩანს, მასთან გასვლა სხვა ხაზით და სხვა მეთოდებით მოხდა.

— ბატონო გიორგი, ეჭვებს ბადებს კიწმარიშვილის იარაღი. ერთი მხრივ, ოფიციალური ვერსიით, იარაღი თავად ეროსი კიწმარიშვილმა დაარეგისტრირა, მეორე მხრივ, იარაღზე ანაბეჭდები არ არის. ასევე, კიწმარიშვილის თანაშემწემ განაცხადა, რომ 17 წელი მასთან მუშაობდა და საორგანიზაციო საკითხებს ის აგვარებდა. ამ ქალბატონმა კი იარაღის ყიდვის თაობაზე არაფერი იცის...

— იქიდან გამომდინარე, რომ ბატონი ეროსი იარაღს არ ატარებდა, შეიძლება, ეს მისთვის იმდენად ინტიმური თემა იყო, რომ მან ამ იარაღის ყიდვა არავის ანდო. ფაქტია, რომ მან იარაღი პირადად იყიდა და გაფორმა. ბალისტიკურმა ექსპერტიზამ მარტივად უნდა დაადგინოს, ეს ტყვიის გულა ბალისტიკურად თუ შეესაბამება იმ იარაღის სახეობას, რომელიც გაფორმებული იყო ეროსიზე. საგამოძიებო ჯგუფი მაღალი კვალიფიციური ადამიანებისგან შევქმენით, რადგან ვიცოდით, რომ ჩერგოლეიშვილისა და ბარამიძისნაირი ყბედები ხელს ჩვენ შეგვახოცავდნენ. თუ იოტისოდენად მაინც ვუშვებთ, რომ მან თავი მოიკლა და ამის გააზრებაც კი ტანში მზარავს, როგორ დღეში უნდა იყოს ადამიანი, რომ მიზანმიმართულად მივიდეს, იარაღი იყიდოს და სიცოცხლე თვითმკვლელობით დასრულოს. ეროსის სახლის გარშემო თურქეთისა და ჩეხეთის საელჩოებია. შესაბამისად, ამოღებული იქნება ვიდეომასალები და შესამოწმებელია ყველა დეტალი. დაწყებული რუსთავში მისი პარტიული ოფისიდან, დამთავრებული სატელეფონო ზარებით.

როგორც ცნობილია, შტაბში მომუშავეებისთვის ხელფასის გადახდაზე პრობლემები ყოფილა. მართალი გითხრათ, ხელაღებით თქმა, რომ ეს არის საზარელი მკვლელობა, არ შეგვიძლია. გარდაცვალების რეალური მიზეზები უნდა დადგინდეს.

— კიწმარიშვილის გარდაცვალება საკმაოდ სკანდალური საქმეა. ობიექტური გამოძიების ჩატარებას შეძლებთ, თუ როგორც ჟვანიასა და შარაძის საქმეებია ბურუსით მოცული, ისე დარჩება ეს საქმეც?

— ამ საქმის გამოძიება სამართალდამცავებისთვის პრესტიჟის საქმეა. რთულად გასახსნელი საქმე არ არის. იმ დღის ქრონომეტრაჟი უნდა გაკეთდეს. წამოუდგენელია, ადამიანი საელჩოების შუაში ისე მოკლა, რომ დაუსჯელი დარჩე. ამის არ მწამს. კარგია, რომ ხელისუფლება თვითმკვლელობის ვერსიაში წელგამართულია. ექსპერტიზასაც ოჯახის მოთხოვნით მაია ნიკოლეიშვილი ესწრებოდა და მისი პირველადი დასკვნა საუკეთესოა, რაც შეიძლება გაკეთებულიყო. ყბედ ადამიანებს არცერთი კითხვა არ უნდა დარჩეთ. ჩვენს საკრიტიკოდ ლუცენკო ჩამოიყვანეს, რომელიც გვიყვება იმაზე, თუ როგორი მამა აბრაამის ბატკანი და ფრთიანი ანგელოზია მერაბიშვილი. ლუცენკოსთან კითხვა მაქვს, უკრაინაში მამაკაცებს ცოცხებს უკეთებდნენ უკანალში?! ლუცენკოს ძმაკაც მერაბიშვილის მეუღლის დანაშაულის დასაფარავად, გირგვლიანი ჩაკუწეს და სასაფლაოზე დააგდეს. ბატონი ლუცენკო წავიდეს და თავის უკრაინას მიხედოს, გაგვანებოს თავი. მათ საქმეში ვერევით?! ქვეყანა ენგრევათ, აქ რომ ჩამოდის და მეყბედება, აიღოს იარაღი და თავი უკრაინისთვის გადადოს და არა ვანოსთვის. ერთმანეთთან რაიმე სხვა კავშირები აქვთ? სახიფათო თამაშია და უკრაინელ მეგობრებს ქართულ საქმეებში ცხვირის ჩაყოფას არ ვურჩევ, რადგან ამ ადამიანებმა დანაშაულები ჩაიდინეს. ლუცენკო თავის საქმეს მერაბიშვილს რომ უკავშრებს, მან ვინმეს აგარაკი წაართვა?! მათთან რომ ჩავსულიყავი და მეთქვა, კუჩმას ხელისუფლება ღონღაძის მკვლელობაში არაფერ შუაშია-თქო, მართალი ვიქნებოდი? ვინ მისცა მათ ამის უფლება, სააკაშვილმა? არამზადა სააკაშვილი ქართველ ხალხს ფეხებზე კიდია და ამას შეეგუონ.

თეონა მანაგაძე

◎ ალიანჩალიანი

არქეოლოგებმა „დედოფლის გორაზე“ სამეფო სასახლე აღმოაჩინეს

საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია ქარელის რაიონში „დედოფლის გორაზე“ ძვ.წ. IV ათასწლეულის — ახ.წ. VI საუკუნით დათარიღებულ მრავალფენიან ძეგლს შეისწავლის.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად „დედოფლის გორაზე“ სამეფო სასახლე გამოვლინდა, რომელიც ძვ.წ. II - ახ.წ. I საუკუნეებით თარიღდება. „სასახლის გარდა, აღმოჩენილია დარბაზები, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, მრავალფეროვანი კერამიკული ჭურჭელი, რკინის შამფურები, ბრინჯაოს სასწორი და სხვა მნიშვნელოვანი არტეფაქტი. სავარაუდოდ, ძეგლი ახ.წ. 80 წელს ძლიერი მიწისძვრის დროს განადგურდა, — აცხადებენ ეროვნულ მუზეუმში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო პროექტი 2013 წელს დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა არქეოლოგიურ ნამოსახლარზე კულტურული ფენების შესწავლას. საქართველოს მხრიდან ძეგლის კვლევას იულონ გაგოშიძე ხელმძღვანელობს, იტალიის მხარეს კი კა-ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორი ელენა როვა უძღვება.

პროექტის მხარდამჭერია გელათის მეცნიერებათა აკადემია.

ინტერპრესი

◎ წყალბურთი

დღეს საფრანგეთი გამოგვცდის

ბუდაპეშტში დამთავრდა წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საკვალიფიკაციო რაუნდი. საქართველოს ნაკრებმა ა ჯგუფში, როგორც გაუწყეთ, ბოლო მატჩიც დათმო ჩერნოგორიასთან. აქვე მე-5 ტურის შეხვედრების სრულ შედეგებსაც გაგაცნობთ:

A ჯგუფი

ჩერნოგორია-საქართველო 17:2

ჩერნოგორია: ზდრავკო რადიჩი, დრასკო ბრგულიანი (1), ვიეკოსლავ პაშკოვიჩი (1), ანტონიო პეტროვიჩი, დარკო ბრგულიანი (1), უროს კუკოვიჩი (1), მლადენ იანოვიჩი (4), ნიკოლა იანოვიჩი, ალექსანდრ ივოვიჩი (6), საშა მიშიჩი, ფილიპ კლიკოვაკი (1), პრედრაგ იოკიჩი (2), მილოშ სკეპანოვიჩი, **მწვრთნელები** — რანკო პერკოვიჩი, ვიდო ლომპარი.

საქართველო: ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, მარკო ელეზი (2), ალექსანდრე რუსიშვილი, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, ბექა კაპანაძე, **მწვრთნელები** — იოვან პოპოვიჩი, ვლადიმერ ისელიძე.

რუსეთი-რუმინეთი 8:11.

რუსეთი. დმიტრი ხოლოდი (3), არტიომ ოდინცოვი (1), ალბერტ ზინატულინი (1), ვლადისლავ ტიმაკოვი (1), კონსტანტინ სტეპანიუკი (1), რომან შეპელევი (1).

რუმინეთი. ტიბერიუ ნეგრეანი (5), კოსმინ რადუ (2), ნიკოლაე დიაკონუ (1), ანდრეი ბუსილა (1), მიხაე ჯორჯე (1), მიხაე ჩიოვეანუ (1).

საბერძნეთი-იტალია 9:9.

საბერძნეთი. ანგელოს ვლაჩოპულოსი (3), ემანუილ მულონაკისი (2), სპიროს აფრუდაკისი (2), კოსტას კოლომვოსი (1), ალექსანდროს გუნასი (1).

იტალია. პიეტრო ფილიოლი (2), ფრანჩესკო დი ფულვიო (2), ალექს ჯორჯეტი (2), ვალენტინო გალო (1), სტეფანო ლუნგო (1), მასიმო ჯიაკოპო (1).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ჩერნოგორია	5	4	1	0	62-29	13
იტალია	5	3	2	0	52-30	11
საბერძნეთი	5	3	1	1	52-41	10
რუმინეთი	5	2	0	3	43-46	6
რუსეთი	5	1	0	4	42-63	3
საქართველო	5	0	0	5	31-73	0

B ჯგუფი

საფრანგეთი — გერმანია 8:7.

საფრანგეთი. მეჰდი მარზუკი (3), რომან ბლერი (2), რემი საუდადიე (1), არნო იაბლონსკი (1), ენცო ხასი (1).

გერმანია. ჰეიკო ნოსეკი (2), პაულ შუელერი (2), ჟულიან რეალი (1), იან ობჩერნიკატი (1), დენის ეიდნერი (1).

სერბეთი-ესპანეთი 8:6.

სერბეთი. მილოშ კუკი (2), დუშან მანდიჩი (1), დუშკო პიეტლოვიჩი (1), მილან ალექსიჩი (1), ფილიპ ფილიპოვიჩი (1), ანდრია პრლაინოვიჩი (1), შტეფან მიტროვიჩი (1).

ესპანეთი. ესპანოლი (4), გილერმო მოლინა რიოსი (2).

უნგრეთი-ხორვატეთი 7:6.

უნგრეთი. ანდრაშ მადარაში (1), ბალაშ ენდელი (1), მარტონ შივოში (1), მარტონ ტოტი (1), ბალაშ ჰარაი (1), იშტვან ჰოსნიანსკი (1), ანდორ ვარგა (1).

ხორვატეთი. სანდრო სუკნო (2), ივან მილაკოვიჩი (1), პეტარ მუსლიმი (1), მარკო იოკოვიჩი (1), ანდელო სეტკა (1).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
უნგრეთი	5	5	0	0	55-36	15
სერბეთი	5	3	1	1	50-34	10
ხორვატეთი	5	2	2	1	46-39	8
ესპანეთი	5	2	1	2	47-41	7
საფრანგეთი	5	1	0	4	36-62	3
გერმანია	5	0	0	5	35-57	0

გუნდები გუშინ ისვენებდნენ. დღეს საქართველოს ნაკრები მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისთვის B ჯგუფის მეხუთეადგილოსან საფრანგეთს შეხვდება. ამ წყვილში უძლიერესი რუმინეთს დაუპირისპირდება. ჯგუფის გამარჯვებულები ნახევარფინალში გავიდნენ, ხოლო მეორე-მესამეადგილოსნები ნახევარფინალის ორ საგზურს გაითამაშებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

საბოლოოდ: უმაღლესი ლიგა 16-გუნდიანი იქნება

უმაღლესი ლიგა 16-გუნდიანი იქნება — ეს საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უკანასკნელ აღმასკომზე, რაც მოსალოდნელიც იყო და თითქმის გადაწყვეტილიც: გასულ კვირაში დააანონსეს.

გასულ სეზონში მოთამაშე 12 კლუბს უმაღლესში დაემატნენ ფოთის „კოლხეთი“, ქობულეთის „შუქურა“, „სამტრედია“ და ბათუმის „დინამო“. ეროვნული ჩემპიონატი 9-10 აგვისტოს დაიწყება და ორ წრედ, ანუ 30 ტურად გაიმართება.

2 გუნდი გავარდება, ერთიც (ანუ ბოლოდან მესამე) ფლეი-ოფში ითამაშებს უმაღლესში დასარჩენად.

ასევე გადაწყდა, რომ პირველი ლიგა 20-გუნდიანი იქნება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ღირსეული

ლამი: მოიგო და წავიდა

ბევრი ფეხბურთელი იოცნებებდა გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი და შემდეგ სანაკრებო კარიერაც დაესრულებინა. გერმანულმა

„ბილდმა“ მთელ მსოფლიოს ფილიპ ლამის გადაწყვეტილება ამცნო: 30 წლის ფეხბურთელმა მუნდიალი მოიგო და ნაკრებში თამაშს თავი დაანება. აღნიშნული ინფორმაცია ფილიპ ლამის კონსულტანტმა რომან გრილმაც დაადასტურა. „ბილდმა“ ლამის სიტყვებიც გაავრცელა: „ორშაბათს ლიოვს უკვე ვამცნე, რომ სანაკრებო კარიერა დავასრულე. ეს გადაწყვეტილება გასული სეზონის მიმდინარეობის პერიოდში მივიღე.“ გერმანიის ეროვნული ნაკრებისთვის ლამისნაირი ფეხბურთელის დაკარგვა მართლაც რომ დანაკლისია — ამპლუით მცველი შეტევებში ხშირად ერთვებოდა და თანაგუნდელებს საგოლე გადაცემებითაც ამარაგებდა. 30 წლის ფეხბურთელმა ნაკრებში 113 მატჩი ჩაატარა და ბოლო შეხვედრა სიმბოლური გამოდგა — ლამმა სანუკვარი მსოფლიო თასი მოიპოვა. ფილიპ ლამს სანაკრებო დებიუტი 2004 წლის 18 თებერვალს ხორვატეთის წინააღმდეგ მოგებულ (2:1) ამხანაგურ მატჩში ჰქონდა. გერმანელმა აღნიშნულ შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა. ბუნდესნაკრების მაისურით ლამმა 113 შეხვედრაში 5 გოლთან ერთად 18 შედეგიან გადაცემასაც მოუყარა თავი. 2006 და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე გერმანიის ნაკრებთან ერთად ლამმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 2008 წელს ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო 2014 წლის მუნდიალზე კაპიტნის სამკლაურით მსოფლიოს ჩემპიონობა პირველად იზეიმა.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგით

ძალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც შვიდი ჩვენებურია. მათი მაჩვენებლები ასეთია: 195 (198). სოფიო შაფათავა (297 ქულა), 334 (327). ეკატერინე გორგოძე (117), 381 (353). ოქსანა კალაშნიკოვა (96), 489 (493). სოფიო ქვაცაბაია (65), 635 (631). მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი (38), 869 (874). მარიამ ბოლქვაძე (16), 1263 (1265). თამარ ჭალაგანიძე (3). ქართველი ჩოგბურთელები მიმდინარე კვირასაც სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში ცდიან ძალებს. ბაქოს 250.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციოში იასპარეზა ჭალაგანიძემ.

პირველსავე წრეში იგი უზბეკ ნიგინა ადურაიმოვას დანებდა — 2:6, 2:6. ამავე ასპარეზობის წყვილებში რეიტინგფავორიტები არიან ოქსანა კალაშნიკოვა და უკრაინელი ოლგა სავჩუკი. ისინი პაექრობაში მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იანი საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე სოფიო ქვაცაბაია იაპონელ კიოკა ოკამურასთან დამარცხდა — 6:7, 6:7. ძირითადი ბადის სტარტზე ეკატერინე გორგოძე ეკატერინა კლიუევას (ყაზახეთი) გამოცდის. წყვილებში გორგოძე და ქვაცაბაია თურქ სოილუს და ხორვატ ვრლიჩის დუეტთან დამარცხდნენ — 2:6, 2:6.

ობერშტაუფენში (გერმანია, საპრიზო ფონდი 35.000 დოლარი) ითამაშებს ნიკოლოზ ბასილაშვილი. პირველ წრეში იგი ჩეხ იან ჰაიეკს შეხვდება. ქართველი ჩოგბურთელი წყვილებში ჰოლანდიელ რომანო ფრანცენთან ერთად ბრაზილიელებს — გემს და სოუზას დაუპირისპირდება.

გივი გაგუა

◎ ვითარება

შუმახერი, შესაძლოა, მალე სახლში დაბრუნდეს

შვეიცარიული გაზეთი „ზონტაგსბლიკი“ იტყობინება, რომ მიხაელ შუმახერი შესაძლოა, მალე სახლში დაბრუნდეს და სარეაბილიტაციო კურსი იქ გააგრძელოს. როგორც ცნობილია, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა თითქმის ექვსი თვე გაატარა კომაში, საიდან გამოსვლის შემდეგაც ის გრენობლის (საფრანგეთი) ჰოსპიტლის ინტენსიური თერაპიის სექციიდან ლოზანის (შვეიცარია) სარეაბილიტაციო კლინიკაში გადაიყვანეს.

„ზონტაგსბლიკი“ ამ ინფორმაციის წყაროდ ლოზანის ჰოსპიტლის თანამშრომელს ასახელებს, თუმცა, მის ვინაობას საიდუმლოდ ინახავს. წყაროს ინფორმაციით, შუმახერის მდგომარეობა საკმაოდ სწრაფად უმჯობესდება და ეს იძლევა შინ მისი დაბრუნების იმედს. რა თქმა უნდა, რეაბილიტაციას თავის სახლშიც გააგრძელებს, რომელიც ლოზანასთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს.

ბაზელის (შვეიცარია) სარეაბილიტაციო ჰოსპიტლის უფროსი ექიმი მარკ მადერი ამბობს, რომ შინ მკურნალობა ძნელია ოჯახისთვის, მაგრამ ოპტიმალურია ისეთი პაციენტებისთვის, როგორიც შუმახერია.

კოგა კოგახიძე

◎ კალათბურთი

ეროვნულ ნაკრებში შევსებაა: შენგელია ჩავიდა, ბურჯანაძე გზაშია

საქართველოს ეროვნულმა საკალათბურთო ნაკრებმა, რომელიც მაკედონიური ტურნირიდან სლოვენიაში დაბრუნდა, შევსება მიიღო. იგორ კოკოშკოვის გუნდს ესპანეთიდან თორნიკე შენგელია შეემატა, რომელიც 1 კვირის წინათ მამა გახდა, გასულ დღეებში კი ესპანეთში იმყოფებოდა, სადაც თავისმა ახალმა კლუბმა „ლაბორალმა“ მასმედიას და გულშემატკივრებს წარუდგინა.

შენგელიამ უკვე ივარჯიშა ეროვნულ ნაკრებთან, რამდენიმე საათში კი კოკოშკოვის სამწყსოს ბექა ბურჯანაძეც შეემატება. ბურჯანაძე ბოსნიიდან მიემართება სლოვენიაში. სარაევოდან ბურჯანაძესთან ერთად ეროვნული გუნდის ბანაკში მიდის 20-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით უსტიაშვილიც, რომელიც ეროვნულში კოკოშკოვის ასისტენტია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები შეკრებას სლოვენიის დაბა პოდჩეტრტეკში აგრძელებს, ხოლო 24 ივლისიდან საერთშორისო ტურნირში ჩაებმება. ქალაქი როგაშკა 24-26 ივლისს ოთხ ნაკრებს უმასპინძლებს. ქართველები 24 ივლისს უკრაინას შეხვდებიან, 25-ში — სლოვენიას, ხოლო 26 ივლისს კანადას დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ნაკრებს ჯერ არ შეერთებია გიორგი შერმადინი, რომელიც ფეხის ტრავმის გამო სრული დატვირთვით ვარჯიშს ვერ ახერხებს.

ვიტალი ჯაფარიძე

კვალი ნათელი

ლეილა ბარაბაძე

გარდაიცვალა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის მთავარი სპეციალისტი წიგნის პროპაგანდის დარგში **ლეილა ბარაბაძე**.

წიგნის მოყვარულთა შორის აღარ არის მუდამ მოძრავი, სიცოცხლის ხალისით აღსავსე და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი. მას არ სჩვეოდა საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, მუდამ თავისი ქვეყნის ცხოვრებით სუნთქავდა. ბუნებით ესთეტი, ყოველთვის ინარჩუნებდა ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ადამიანებთან თბილ და უშუალო ურთიერთობებს. ამიტომ იყო, რომ ადამიანებს წიგნის მოყვარულთა ღონისძიებებზე ყოველთვის მოუხაროდათ.

ლეილა ბარაბაძე დაიბადა 1928 წლის 24 აპრილს ქ. თბილისში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1954 წლიდან 1983 წლამდე მუშაობდა განათლების სისტემაში პედაგოგად, მეთოდისტად, შემდეგ პედაგოგად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. 1985 წლიდან საქართველოს მწიგნობართა ასოციაციაში.

მისი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო განათლების წარჩინებულისა და დამსახურებული მასწავლებლის წოდებები, მიღებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის, სსრკ და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროების დიპლომები, სიგელები და მადლობები; დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

თავისი საქმის ჭეშმარიტ ენთუზიასტს კეთილშობილება, პრინციპულობა და პირუთვნელობა მუდამ გამოარჩევდა ცხოვრების გზაზე.

ქალბატონი ლეილას სახით ქართული ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი საქმიანი, განათლებული, უშუალობით, გონიერებითა და ერთგულებით გამორჩეული ადამიანი.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია

სანთელი

ავთანდილ ცანავა

აბაშის საზოგადოებამ კიდევ ერთი თავისი ღირსეული წარმომადგენელი დაკარგა — გარდაიცვალა აბაშასა და აბაშელებზე უსაზღვროდ შეყვარებული, ჭეშმარიტი ქართველი **ავთანდილ დიანოზის ძე ცანავა**.



დაიბადა 1929 წელს, დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში პედაგოგად.

1955 წლიდან ა.დ. ცანავა კომკავშირულ სამუშაოზეა. არჩეულ იქნა კომკავშირის აბაშის რაიკომის მეორე, შემდეგ კი — პირველ მდივნად. 1960 წლიდან 1973 წლამდე მუშაობდა ჯერ პარტიის აბაშის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ და შემდეგ პარტიის რაიკომის მდივნად.

1973 წლიდან 2006 წლამდე სათავეში ედგა განათლების სისტემას. მოღვაწეობის რთული და საინტერესო გზა განვლო ბატონმა ავთანდილმა. ის იყო მონაწილე ყველა იმ სიახლისა, რაც აბაშაში ხდებოდა, განსაკუთრებით განათლების სფეროში. მისი მუშაობის პერიოდში აშენდა არაერთი საშუალო და არასრული საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის შენობა, მისი მთავარი ამოცანა იყო სკოლების დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით, განსაკუთრებით ზრუნავდა ახალგაზრდა კადრების პროფესიული დონის ამაღლების, მათი ადგილზე დამკვიდრებისა და ყოფითი პირობების შექმნისათის. არ სჩვეოდა საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, მაღალი პასუხისმგებლობა, კომპეტენტურობა და პუნქტუალობა ეტყობოდა მის მიერ შესრულებულ ყველა საქმეს.

ბატონი ავთანდილი იყო ღრმად ერუდირებული, გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკი, ყველა საქმეში მაღალი პროფესიულობითა და პასუხისმგებლობით გამორჩეული, უღალატო, ადამიანებთან დამოკიდებულებაში ძალიან სუფთა, თბილი, ყურადღებიანი პიროვნება.

ბატონი ავთანდილი იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამქვეყნად. მისი მოღვაწეობა სათანადოდ იქნა დაფასებული მთავრობის მიერ. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით, საპატიო სიგელებით, შრომის ვეტერანის სამკერდე ნიშნით. არაერთგზის იყო არჩეული მასწავლებელთა ყრილობის დელეგატად, რაიონული საბჭოს დეპუტატად.

იგი იყო შესანიშნავი ოჯახის წინამძღოლი — კარგი მეუღლე, კარგი მამა და ბაბუა.

მისი მეუღლე — ყველა აბაშელისთვის პატივსაცემი ქალბატონი, ექიმი-ნეონატოლოგი ზაირა პირტახია გახლდათ, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა. მძიმე და მტკივნეული აღმოჩნდა ბატონი ავთანდილისათვის ერთგული მეუღლის დაკარგვა...

ბატონი ავთანდილისა და ქალბატონი ზაირას განვლილი გზა ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამქვეყნად.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, ღირსეული ქართველი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრების ჯგუფი

თენგიზ კალანდაძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი პიროვნების

ავთანდილ ცანავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს შვილებს მაიას და დიმას, სიძეს ვალერი ურუმაშვილს.

მარინა კანდელაკი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ ცანავა

და თანაუგრძნობს შვილებს მაია და დიმა ცანავებს, სიძეს ვალერი ურუმაშვილს და სხვა ჭირისუფალთ.

აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საჯარო სკოლების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკის, განათლების განყოფილების ყოფილი გამგის

ავთანდილ ცანავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებისა და საბავშვო ბაღების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ განათლების სისტემის თვალსაჩინო მუშაკის, შესანიშნავი პიროვნების, განათლების განყოფილების ყოფილი გამგის

ავთანდილ ცანავას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ლიტერატურული შეხვედრა

ერთი კარგი საღამო

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში, ამავე ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონატით გაიმართა პოეზიის საღამო ქართული პოეზიის მოყვარულთათვის. ამჯერად ეს დაუვიწყარი საღამო დაეთმო მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, ცნობილი ჟურნალისტის, რედაქტორისა და მწერლის ეთერ ფაცურიას შემოქმედებასა და მოღვაწეობას.

პროექტის ინიციატორმა და ორგანიზატორმა, მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილემ ნანა ჭიჭინაძემ, ასოციაციის წევრებმა და ადგილობრივმა პოეტებმა მხატვრულად წაიკითხეს ეთერ ფაცურიას ლექსები.

საღამო დაამშვენა ასოციაციის პასუხისმგებელი მდივნის ლია ჩოქურის სიმღერებმა.

მარიკა პოპიაშვილი

◎ ალიანჩალიანი

ახალი ხიდი სხვიტორში

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორში საავტომობილო ხიდი ააშენა, რომლის საშუალებითაც საჩხერის მუნიციპალიტეტის 17 სოფელი ცენტრს დაუკავშირდება.

ძველი ხიდი მწყობრიდან იყო გამოსული და ვერ აკმაყოფილებდა შესაბამის მოთხოვნებს, რაც ადგილობრივ მოსახლეობას გადაადგილების დროს საფრთხეს უქმნიდა.

სოფლები სხვიტორი, ჩიხა, ორღული, ჭალა, ღონა, სპერი, დარყა, დრბო, საკოხია, პერევი, ჭრია, ჭურხალი, ქარძმანი, სინაგური, ჯალბეთი, ტბეთი, თედელეთი ახალი ხიდით საჩხერეს დაუკავშირდა.

ხიდის მშენებლობაზე ჯამში 30 ადამიანი იყო დასაქმებული, საიდანაც ნაწილი ადგილობრივი იყო. ხიდის ბურჯები მოწყობილია ხიმინჯებზე და აღჭურვილია სარეგულაციო კედლებით. ექსპლუატაციაში შესვლისთანავე ხიდზე თავისუფალი მოძრაობის საშუალება აქვს ყველა სახის ტრანსპორტს. ახალი ხიდი თავისი მონაცემებით ყველა თანამედროვე სტანდარტს და მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ახალი ხიდის სიგრძე 24 მეტრია, სიგანე კი — 11 მეტრი.სოფელ სხვიტორში ხიდის მშენებლობა 2013 წლის 20 დეკემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 18 ივლისს დასრულდა.

ექთნები გერმანიაში გადამზადდებიან

გერმანიის დასაქმების ფედერალური სააგენტოს მხარდაჭერით ქართველი ექთნებისათვის პროექტი ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში კონკურსის საფუძველზე საქართველოს მასშტაბით 20 კანდიდატი შეირჩევა, რომლებიც გერმანიაში ექთნის სპეციალობით დასაქმდებიან და რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა მოიპოვონ კვალიფიკაციის ოფიციალური აღიარება.

საქართველოში შერჩეული 20 კანდიდატი გაივლის ტრენინგებს გერმანიის თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მეთოდებით აღჭურვილ საავადმყოფოებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, რაც მათ გერმანიის სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებისა და კვალიფიკაციის ოფიციალური აღიარების შესაძლებლობას მისცემს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ექთნების შერჩევა საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის მიერ ხორციელდება, რომელიც ერთობლივად იმართება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და გერმანიის ფედერალური დასაქმების სააგენტოს მიერ.

ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად

შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული რესურსით და საზოგადოების მხარდაჭერით სხვადასხვა ღონისძიებებს გატარებას აგრძელებს.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით შესწავლილია 13 საქმე, რომელიც შეიცავდა ოჯახში ძალადობის შედეგად ჩადენილ მკვლელობებს. აქედან — მკვლელობის ჩადენამდე მხოლოდ ერთ ოჯახში იყო გამოძახებული პოლიცია. მკვლელთაგან 4 აღმოჩნდა ნასამართლევი: 2 პირი — მკვლელობის მცდელობისთვის, 1 პირი — სხეულის დაზიანების და ხულიგნობისთვის და 1 პირი — ხულიგნობისთვის და ნარკოტიკების მოხმარებისთვის.

შსს-ს თანამშრომლებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე დაგეგმილია ტრენინგები, რომლებიც ორ ეტაპად ჩატარდება. აღნიშნულ ტრენინგებს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საუბნო განყოფილებიდან 452 უბნის ინსპექტორი გაივლის. თითოეული განყოფილებიდან წარმოდგენილი იქნება 2 თანამშრომელი: ერთი მამაკაცი და ერთი ქალი. ტრენინგების პირველი ეტაპი 46 საუბნო განყოფილების 92 უბნის ინსპექტორისთვის თბილისში გაიმართება.

ტრენინგების მეორე ეტაპი 10 სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების 180 განყოფილების 360 უბნის ინსპექტორისთვის გაიმართება.

ინტერპრესი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ცნობილი ბიბლიოთეკარის, ღვაწლმოსილი თანამშრომლის

მარიამ (მარი) ლორიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული სახელმწიფო აკადემიური თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი

ლორენა პაპუაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◉ რა არ ხდება ქვეყანაზე!

წარმატებას ფიქრმაც რომ შეუწყოს ხელი

რაზე ფიქრობთ მოცალეობის ჟამს? იმის შესახებ, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ან ვერ მიაღწიეთ, როგორია თქვენი დარჩენილი სავალი გზა? საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს არჩევთ? რა შეიძლება მოხდეს თქვენს ცხოვრებაში უკეთეს და რა — უარეს შემთხვევაში? ამ დროს, გირჩევთ, საკუთარ აზრებს დაუკვირდეთ, რადგან ერთადერთი რამ, რის შეცვლა გჭირდებათ საიამისოდ, რომ უფრო მეტად განიცადოთ ბედნიერება, ეს თქვენი აზროვნებაა. გახსოვდეთ რომ:

● თქვენ არ შეგიძლიათ იმის შეცვლა, რასაც თვალს ვერ უსწორებთ.

● ფასზე კი არა, სჯობს ფასეულობებზე იფიქროთ.

● ზოგჯერ რაღაცის თვალნათლივ დასანახავად განზე დგომა სჯობს.

● ძალიან ბევრი ხალხი იმ ნივთებს ყიდულობს, რომლებიც მათ არაფერში სჭირდებათ, თანაც იმ ფულით, რომელიც არ გააჩნიათ, ამას კი იმიტომ აკეთებენ, რომ შთაბეჭდილება მოახდინონ ადამიანებზე, რომლებსაც არ იცნობენ.

● ცხოვრება 10 პროცენტით იმისგან შედგება, თუ რა გემართებათ, დანარჩენი 90 პროცენტი კი იმაზე მოდის, თუ როგორ რეაგირებთ მომხდარზე.

● სჯობს, მარტო იყოთ, ვიდრე ცუდ საზოგადოებაში.

● ასაკის მომატებასთან ერთად ჩვენ ვხვდებით, რომ მნიშვნელოვანია არა ბევრი მეგობრის, არამედ ერთის, მაგრამ ნაღდის, ყოლა.

● ასი მეგობრის გაჩენა ძნელი არ არის. მაგრამ ერთი მეგობრის ყოლა, რომელიც თქვენ მხარეს მაშინაც იქნება, როცა ასობით, მოწინააღმდეგე გყავთ, ნამდვილი საოცრებაა!

● თუკი მართლაც რაღაცის გაკეთება გსურთ, ამას ყოველთვის მოახერხებთ.

● თუკი რაღაცის გაკეთება არ გინდათ, თავის გასამართლებელ მიზეზსაც ყოველთვის გამონახავთ.

● იმას ნუკი აირჩევთ, რაც ლამაზია, აირჩიეთ ის, რაც თქვენ ცხოვრებას გაალამაზებს.

● შეიყვარო — ეს არჩევანის გაკეთებას არ ნიშნავს. არჩევანი ისაა, გაიყოლებ თუ არა სიყვარულს ცხოვრების გზაზე.

● ნურასდროს მოიქცევით დაუფიქრებლად იმის გამო, რომ დროებით ნერვები გაქვთ აშლილი.

● თუკი საკუთარ შეცდომებს არ უარყოფთ, მაშინ რაღაც საგულისხმოს სწავლის იმედი შეიძლება გქონდეთ.

● თუკი ცხოვრებაში არაფრით რისკავთ, სინამდვილეში ბევრი რამეს საფრთხეს უქმნით.

● როგორც კი მცდარი რამეების დევნას თავს დაანებებთ, თქვენ სწორი რამეების დაწევას შეძლებთ.

● ყველაფერი, რაც თქვენს ცხოვრებაში ოდესღაც მომხდარა, იმისთვის გამზადებთ, რაც მომავალში მოხდება.

● თუ ნამდვილად სხვაზე უკეთესი ხართ, ამაში სატრაბახო არაფერია. ჭეშმარიტად სატრაბახო ისაა, როცა იმაზე უკეთესი იქნებით, ვიდრე ოდესღაც იყავით.

● როცა ცდილობთ, ვინმე გახდეთ, მაშინ დროს ფუჭად ხარჯავთ.

● თქვენ ვერასდროს ვერ გახდებით ის, ვინც გინდათ რომ იყოთ, თუკი სხვებს დაადანაშაულებთ იმაში, რომ დღესდღეობით სწორედ ასეთი ხართ და არა სხვანაირი.

● ადამიანები გაცილებით მეტს გიმალავენ, ვიდრე გაჩვენებენ.

● ადამიანები ზოგჯერ ვერ ამჩნევენ იმას, რასაც მათ უკეთებენ, იქამდე, სანამ ამის გაკეთებას არ შეუწყვეტენ.

● ყურს ნუ დაუგდებთ იმას, რასაც ადამიანები ლაპარაკობენ, უმჯობესია, შეხედოთ იმას, რასაც ისინი აკეთებენ.

● მარტოკა ყოფნა ეულად ყოფნას არ ნიშნავს, და როცა მარტო ხართ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეული ხართ.

● თუკი იძულებული ხართ, კომპრომისზე წახვიდეთ და გარშემო მყოფთა გამო საკუთარი ინტერესები დათმოთ, როგორც ჩანს, იმის დრო დადგა, რომ თქვენს ირგვლივ ხალხი შეცვალოთ.

● ისწავლეთ უწინარესად საკუთარი თავი გიყვარდეთ იმის მაგივრად, რომ ის ხალხი გიყვარდეთ, ვისაც თქვენ უყვარხართ.

● სულაც არ არის სავალდებულო იმას მოუსმინოთ, ვინც არ გეთანხმებათ.

● იყავით ბედნიერი, იყავით ის, რაც ხართ! თუკი სხვებს ეს არ მოსწონთ, ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ: ეს თქვენი არჩევანია და თქვენ არა ხართ მოვალე, ყველანი კმაყოფილი გყავდეთ.

● როცა თქვენი საქმე კარგად მიდის, თქვენ მეგობრებმა იციან, თუ ვინ ხართ და რას წარმოადგენთ. ხოლო როცა ბედი ზურგს შეგაქცევთ, მაშინ უკვე თავად იცით, თუ ვინ არიან თქვენი მეგობრები.

● იმას კი ნუ ეძებთ, ვინ გადაჭრის თქვენს მაგივრად თქვენს პრობლემებს, ეძიეთ ის, ვინც მათ გადაწყვეტაში დაგეხმარებათ.

● იფიქროთ, რომ სამყარო თქვენდამი სამართლიანი მხოლოდ იმის გამო იქნება, რომ თავად თქვენ ხართ მის მიმართ სამართლიანი — ეს იგივეა, რაც იფიქროთ, რომ მშიერი ნიანგი მხოლოდ იმიტომ არ გადაგსანსლავთ, რომ თქვენ არ აპირებთ მის შეჭმას.

● იმის მიუხედავად, ცხოვრებაში გიჭირთ თუ გილხინთ, ყოველ ცისმარე დღეს უფალს მადლობა შესწირეთ იმისთვის, რაც გიბოძათ. გახსოვდეთ: თქვენზე გაჭირვებული უამრავი სხვაა.

● სიკეთის ყველაზე მცირედი გამოვლინებაც კი მარტო დიდ სასიკეთო ჩანაფიქრზე გაცილებით ფასეულია.

● ბევრი ადამიანი ძალიან ღარიბია იმიტომ, რომ ერთ-ერთი რაც მათ გააჩნიათ, ესაა ფული.

● ისწავლეთ იმის დაფასება, რაც გაქვთ, ვიდრე დრო გასწავლიდეთ, დააფასოთ ის, რაც ოდესღაც გქონდათ.

● წყალში ჩავარდნით კი არ დაიხრჩობით, არამედ წყალში დგომით.

● ბედნიერება ის კი არ არის, რაც ჩვენ გარშემო ხდება, არამედ იმაშია, რაც თავად ჩვენში ხდება. იგი ყოველთვის ჩვენში იბადება და არა ჩვენ ირგვლივ.

● თუ სიმართლეს ამბობთ, იგი თქვენი წარსულის ნაწილი ხდება. თუკი ცრუობთ, იგი თქვენი მომავლის ნაწილი ხდება.

● ის, რასაც ყოველდღე აკეთებთ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რის გაკეთებას მომავალში აპირებთ.

● ცხოვრების ახალ თავს ვერასდროს დაიწყებთ, თუკი აქამდე წინა თავის კითხვას განაგრძობთ.

● საქმე გაცილებით უკეთ იმათ მისდით, ვინც თავის საქმეს იმისდა მიუხედავად აკეთებს, თუ რა ელის ბოლოს.

● თუკი რამე არ მოგწონთ, შეცვალეთ ის, თუკი არაფრის შეცვლა არ შეგიძლიათ, მაშინ საკუთარი აზროვნება შეცვალეთ.

◉ ცინცხალი ანეკდოტები

— **დაშა** რას იზამ, თუ ქმარი გიღალატებს?
— ორჯერ ვუღალატებ!
— თუ კიდევ გიღალატებს?
— ოთხჯერ ვუღალატებ!
— და თუ ისევ გიღალატებს?
— მაშინ გავცილდები! რა ჭირად მინდა ქმარი, რომელიც ბოზად მაქცევს?

* * *

— **გამიმხილე**, რისი წყალობით ცხოვრობთ შენ და შენი ცოლი ასე მეგობრულად?

— საქმე ის არის, რომ ჩვენ ორივენი ერთი სიყვარულის ერთგული ვართ: მას მხოლოდ მე ვუყვარვარ, მე კი მხოლოდ ჩემი თავი მიყვარს.

* * *

კარზე ზარი ირეკება:
— გამარჯობათ, ბინას აქირავებთ?
— დიახ, დღე-ღამეში 40 დოლარად. თქვენ რამდენი ხნით გნებავთ?
— მხოლოდ ორიოდ წუთით. ტუალეტში შევირბენ. აი, თქვენ 50 ცენტი.

* * *

ოთხი სტუდენტი შეხვდა ერთმანეთს.
— ბიჭებო, მოდი, საღამოს ჩემთან შევიკრიბოთ, — ეუბნება მათ პეტკა, — ლუდი მაქვს, ტარანიც...
— გოგონები იქნებიან?
— გოგოებსაც მოველაპარაკე. ისინი არ იქნებიან.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◉ კრიმინალი

ამოღებულია დიდი ოდენობით ჰეროინი

შსს-ს ინფორმაციით, ბათუმში ჩატარებული ოპერატიულ-სამძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი: 1978 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მურათ ა. და 1982 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე გენადი ბ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა მურათ ა. 60,144 გრ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტზე დააკავეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 18,0432 გრ ჰეროინს შეიცავს. მურათ ა-სგან ამოღებულია ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა — 20 000 აშშ დოლარი. გენადი ბ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი 4,17 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,251 გრ ჰეროინს შეიცავს.

◉ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24